№ 2689
შაბათი,
4 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

116

№ 2689
4 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორაში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რადგან ღამის დეპეშები გვიან მოდის და გაზეთის ბეჭდვა დროზე ვერ ესწრება, დღეიდან ის დეპეშები ცალკე ფურცელზე დაიბეჭდება და გაზეთთან ერთად დაურიგდება მკითხველებს

კალოუბნის ეკლესიაში კვირას, 5 დეკემბერს, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ერევნის გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფედ ნამყოფის აზნაურის

ალექსანდრე დავითის ძის ფარეშიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მშობლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის $9^{1}/_{2}$ საათზე. (1—1)

ქართული წარმოდგენა. მეტეხის თეატრში
კვირას, 5 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პატარა კახი
დრამა 5 მოქ. თავ. ა. წერეთლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ლეჟავა, ნებიერიძე; ბ-ნნი სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, ჩარკვიანი, წუწუნავა, საფაროვი, იორდანაშვილი.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი: მ. აბაშიძე.

ქართული წარმოდგენა. ხახანოვის თეატრი. (აბონემენტების რიცხვში)
ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულის დასის მიერ, წარმოდგენილი იქნება
◆ ვალერიან გუნიას ბენეფისად პირველად ორი ახალი პიესა ◆
პირველი ორიგინალური პიესა
ნაოხარზე
ანუ
(ჩვენებური კინოგანა)
თანამედროვე სურათები 3 მოქმედ. ვალერ. გუნიასი.

მეორე ნათარგმნი პიესა
ახირებული შემთხვევა
ანუ
(ძალად გაგიჟებული)
მხიარული კომ. 2 მოქ. მაქს. გორკისა, თარ. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო, აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ნ. ნებიერიძე, ნ. ჯავახოვი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ი. სარჯველაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ლოჟები 2 მან. 50 კ-დან 10 მანეთამდე, პარტერი 60 კაპეიკიდან 3 მან. გალერეია 30 კაპ. 40 კ.
აბონემენტს და საწევრო სეზონის ბილეთებს ძალა აქვთ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. პიესებს დასდგამს მობენეფისე ვ. გუნია.

ხახანოვის თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 2 დეკემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „მანონი“ ოპერა 3 მოქ. მასსენესი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ორელი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვა, ფერარი; ბ-ნნი: დონსკოი, ობრაზცოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
5 დეკემ.—„ფაუსტი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დღით:

ა. ი. [illegible].—ბავშვებისა. $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.

მ. ა. სუდიანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ძიმონტი.—ხირურგია $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მოსინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ბრ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ბ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დაროგების 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ი. ე. ზამბახიძე
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—18)

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—17)

ექიმი
გ. ა. გედევანოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის და ნერვებისა. ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—1)

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი
იღებს ყოველგვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდაზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—1)

კბილის ექიმი
ილ. როსტომაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—36)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი დაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქარ. დრ. საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები:
1. ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. საზოგადოების არსებობის 25 წლის იუბილეის პროგრამა.
6. ახალ წევრების არჩევანი. (3—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 დეკემბერი

ტიანძინი, 1 დეკემბერი („რეიტერი“). ტელინში რუსის მოხელეების ბრძანებით 28 ნოემბერს დაიხურა ჩინელთა 5 ბანკი. ამ ბანკებს აბრალებენ, რაც კი ადგილობრივ წვრილი ვერცხლის ფული იყო, ყველა ხელში ჩაიგდესო. თვითეული დირექტორი დასაჯეს ჯოხის ასი დარტყმით და ხარბინს გაგზავნეს, სადაც კიდევ მიაყენებენ სასჯელს.

კოპენჰაგენი, 30 ნოემბერი („რეიტერი“). აქ მიღებულ ცნობებით, ლონდონში მყოფმა იაპონიის ელჩმა გაიაშიმ მიიღო ტოკიოდან განკარგულება, აუწყოს ინგლისის პრესსას, რომ პორტ-არტურიდან საფრანგეთის დროშით გამოსულმა ნავმა გემების ალყის გარღვევა მოიწადინა. გაიაშიმ უარჰყო ამ განკარგულების ასრულება. შემდეგ მეორედ უბძანეს გაიაშის, აესრულებინა განკარგულება და გაიაშიმ მეორედაც უარი სთქვა. გაიაშის სიტყვით, ნავი საფრანგეთის დროშით მიდიოდა, და სიგნალი აჩვენა. იაპონელთა ნაღმიანმა გემმა მაინც დაუშინა ყუმბარები, მოჰკლა ორი ჩინელი და ერთი გერმანელი საზღვაო აგენტი. მაშინ ნავი გააჩერეს და იაპონიის კრეისერთან მიიყვანეს. იაპონელმა ოფიცრებმა დაათვალიერა ნავი; კრეისერის უფროსმა ჯერ გაანთავისუფლა ნავი, შემდეგ-კი ბძანება გასცა დაელეწათ იგი, თუმცა იცოდა, რომ ნავში საფრანგეთის საზღვაო აგენტი იყო. ამნაირად სურდა თავიდან მოეცილებინა გერმანიის აგენტის მოკვლის არა-სასიამოვნო მოწმეები. მოვიდა აგრეთვე ცნობები ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ შემთხვევის შესახებ: იუწყებიან, ოთხმა ნაღმიანმა გემმა იაპონელ მეზღვაურებით და ინგლისელ ლოცმანებით და კაჩეგარებით დასტოვეს ინგლისი იმ დღეს, როცა ხელმწიფე იმპერატორმა კრონშტადტში დაათვალიერა ესკადრა. ორი ნაღმიანი გემი დანიის სრუტეში წავიდა და იქ გაჩერდა, დანარჩენები-კი ჩრდილოეთ ზღვაში იცდიდნენ იმ ადგილს, სადაც რუსის გემებს უნდა გაევლოთ. ხუთი დღის წინ, სანამ რუსის ესკადრა დანიის წყლებში მივიდოდა, გულის მეთევზეთა შვიდი გემი შეუერთდა ნაღმიან გემებს. ამ გემებს სანაღმო მოწყობილობა და სასროლი ნაღმები ჰქონდათ. იაპონელთა ნაღმიანმა გემებმა ღამე მიიტანეს იერიში რუსის ესკადრაზე, მაგრამ ვერაფერი გააწყეს: ერთი ნაღმიანი გემი დაღუპულ იქნა და მეორე დაზიანდა. დაღუპულ ნაღმიან გემის მეზღვაურები მეთევზეთა გემებმა გადაარჩინეს, დანარჩენმა ორმა ნაღმიანმა გემმა-კი ბრძანება მიიღეს პორტსმუტში წასულიყვნენ, რათა იქიდან იაპონიაში გაჰყოლოდნენ სურსათის ტრანსპორტებს.

ტოკიო, 2 დეკემბერი („რეიტერი“). დაწვრილებით იუწყებიან ამბავს გემ „სევასტოპოლ“-ზე იაპონელთა ნაღმიან გემების მიერ მიტანილ იერიშის შესახებ. იაპონელთა ნაღმიან გემების ფლოტილიამ, კაზამის უფროსობით, ორშაბათს ნაშუადღევს რამდენჯერმე უნაყოფო იერიში მიიტანა რუსის გემზე, სამშაბათს დილის $2^{1}/_{2}$ საათზე კი ისევ მიიტანა იერიში არაკაივას უფროსობით. შედეგი არ იციან. იერიშის დროს რუსების ნასროლი ერთი ყუმბარა ნაღმიან გემის საკვამლეს მოხვდა, მეორე კი—სამანქანო განყოფილებას და ნაღმიანი გემი დაზიანდა. 6 საათზე ფლოტილიამ განაახლა იერიში, სევის უფროსობით; რუსის პროჟექტორებით განათებულ ადგილას მოხვდა და რუსებმა მძლავრად დაუშინეს ყუმბარები. ფლოტილიამ საწადელს ვერ მიაღწია. ორი ნაღმიანი გემი ერთბაშად მიუახლოვდა „სევასტოპოლ“-ს და ნაღმი ესროლეს; ნაღმები აფეთქდნენ, მაგრამ არ იციან, გემს მოხვდნენ თუ არა. ამ ორ ნაღმიან გემსაც მძლავრად დაუშინეს რუსებმა ყუმბარები. თვითეულს ყუმბარა მოხვდა და დაიჭრა სამი კაცი.—პორტ-არტურიდან დეპეშით იუწყებიან, „სევასტოპოლ“-ი არ ჩაძირულა, მაგრამ, როგორც სჩანს, დაზიანებულიაო.

ლონდონი, 2 დეკემბერი („რეიტერი“). პორტ-არტურთან იაპონელთა არმიის მთავარ-სადგურთან მყოფი „რეიტერი“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ მაღალი გორიდან მთელი ქალაქი და ნავთსადგური სჩანსო. ქუჩები ცარიელია. ბევრი შენობა ცეცხლისაგან განადგურებულია. იაპონელთა ყუმბარები მთელ ნავთსადგურსა და ქალაქს ხვდება. „სევასტოპოლ“-ი დოკში იყო; ღამე გავიდა იქიდან და ეხლა ლიაოტეშანის ახლოს დგას. მაღალი გორის აღების დროს მრავალი ხალხი დაიღუპა. იაპონელთა ფლოტი ეხლა იაპონიაში დაბრუნდება, რათა გემები დოკში შეიყვანოს. იაპონელები მტრედის ბუხტის ნაპირ-ნაპირ წინ მიდიან ტაიანგკანის, იტშანის და ანძიშანის ფორტების წინააღმდეგ: მისავალი გზა ადვილია, ფორტები კი ძლიერ გამაგრებულია. ამ ფორტების აღება მით უფრო ძნელია, რომ თხრილები გაყინულ მიწაში უნდა გაიყვანონ. საზღვაო ზარბაზნები მაღალ გორაზე დგეს და შეუძლიათ დაიფარონ ქვეითა ჯარის იერიში სიმაგრეების წინააღმდეგ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 დეკემბერი

ხუანშანი, 1 დეკემბერი. რუსის მოხალისეებს შეტაკება ჰქონდათ იაპონელ დარაჯებთან ანისირის ახლოს. იმავე დღეს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ხანშანის ქარხანას სოფელ იანსიტუნში.

სახალინი, 2 დეკემბერი. სამხედრო მხრივ აქ სიწყნარეა. ორი დღის ქარიშხალის შემდეგ, რეიდი ჰორიზონტამდის ყინულით არის დაფარული. მცხოვრებლებს სურსათი აკლიათ; ყველაფერი გაძვირდა. ქურდობა გაძლიერდა.

ტოკიო, 1 დეკემბერი („ცენტრალნიუს“). აქ ამბავია მიღებული, რომ „სევასტოპოლ“-ი დღე მანტშანის ახლოს დგას, თითქო 8 კონტრ-ნაღმიან გემის მფარველობას ეძებს. იაპონელთა გემები „ტოიეიმარუ“ და „კამფუტომარო“ საავადმყოფო გემებად გადააქციეს. 20 ნოემბერს ზავის დროს, კიკვანშანის დასავლეთით, რუსისა და იაპონიის ოფიცრები ერთმანეთს ესალმებოდნენ, სავიზიტო ბარათებს უზიარებდნენ, ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ და საერთო ფოტოგრაფიულ სურათებს იღებდნენ. რუსის ერთი ოფიცერი ამტკიცებდა, ციხე მიუვალიაო,—„იქნება აიღოთ ციხე, მაგრამ ჩვენ არ დავტოვებთ მას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ჩვენ საკმაო სურსათი და სამხედრო მასალა გვაქვს არა მარტო ჩვენთვის, არამედ თქვენთვისაო“. იაპონელი ოფიცრები ამბობენ, რუსის ჯარი ძალიან მხნედააო. რუსები ეხმარებოდნენ იაპონელებს იაპონელ მოკლულთა გატანის დროს.

ლონდონი, 2 დეკემბერი. ტოგო იუწყება: „29 ნოემბერს ღამე იაპონელების ნაღმიანმა გემებმა ორჯელ მიიტანეს იერიში „სევასტოპოლ“-ზე; 30 ნოემბერს კი-სამჯერ. შედეგი არ იციან. რუსებმა მძლავრად დაუშინეს ყუმბარები, დააზიანეს ერთი გემი, რომელიც იაპონელებმა ბუქსირით წაიყვანეს. პორტ-არტურთან მყოფი „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ პეიუშანის სამხრეთით იაპონელები ყოველ დღე უშენენ ზარბაზნებს ძველ და ახალ ქალაქს და ნავთ-სადგურს.

შანჰაი, 1 დეკემბერი. „მორნინგ პოსტ“-ის სიტყვით, „სევასტოპოლ“-სა და 8 ნაღმიან გემს, რომელნიც ნავთ-სადგურის გარეშე დგანან, დიდი საფრთხე მოელის, რადგან ღელვამ ძლიერ დააზიანა. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, იაპონელებმა გუშინ ისევ დაიწყეს ციხის საერთო შტურმიო.

ჩიფუ, 1 დეკემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: „იაპონელებმა გაჰგზავნეს სამხრეთში ჯაშუშები ბალტიის ესკადრისათვის თვალ-ყურის სადევნებლად. „მაკაზა“-მ და ერთმა კრეისერმა გუშინ ნახშირი დატვირთეს ლუნჩინის ყურეში, ბატუნის კონცხის სამხრეთით, „ნისინ“-მაც და „კასუგა“-მაც დატვირთეს ნახშირი და ზღვაში გავიდნენ სამ ვერსზე. მეზღვაურებს თეთრი ტანისამოსი აცვიათ და მუზარადები ახურავთ. ინგლისის ნაღმიანი გემი მცურავ ნაღმს ეძებს კუნძულ ალცესტის ახლოს. ექვსი გემი ტვირთავს ნახშირს და სურსათს ბალტიის ესკადრისათვის.

ტიანძინი, 1 დეკემბერი. „დეილი მეილ“ სარწმუნო წყაროებიდან სწერენ: იაპონიის მთავრობამ შეიტყო ბალტიის ესკადრა გზად მადაგასკარის კუნძულებს აირჩევსო, და გადასწყვიტა მოუსწროს რუსებს. იაპონელებს კონონსაის ფორტებიდან ამ კუნძულებზე მიაქვთ მძიმე ზარბაზნები და დიდძალი ნახშირი. იქვე გაჰგზავნეს გამოცდილი ოფიცრები სამუშაოების სახელმძღვანელოდ.

ლონდონი, 2 დეკემბერი. იაპონიის საელჩო უარჰყოფს ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილ ცნობას „შიკიშიმა“-ს ან მეორე სამხედრო გემის დაღუპვის შესახებ, აგრეთვე იაპონელების მიერ ნავის დაღუპვას, რომელზედაც საფრანგეთისა და გერმანიის აგენტები იყვნენო. საელჩოს სიტყვით, იაპონელებმა არ იციან ამ ორი აგენტის ბედ-იღბალი.

ომსკი, 2 დეკემბერი. რადგან მრავლად უნდა ჰგზავნონ დაჭრილები, ციმბირის ოლქში დაარსებულია 83 საველე საავადმყოფო, რომლებშიაც წითელი ჯვრის საავადმყოფოებთან ერთად, 25 ათასი დაჭრილი დატევა. პირდაპირი მიმოსვლა იქნება სასანიტარო მატარებლებისა ირკუტსკსა და მოსკოვს შუა. დაჭრილებს საკმაოდ აძლევენ თბილ ტანისამოსს.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. იაპონიის უმაღლესი წრეები ჰფიქრობენ, რუსეთი 2 წელიწადზე მეტს ვერ შეიძლებს ომსაო. („ნ.“).

„პტი ჟურნალ“-ი იუწყება, ვითომ რუსეთის მთავრობამ შავის ზღვიდან 30 გემის გაგზავნა გადაწყვიტა; ოსმალეთის მთავრობამაც თანხმობა გამოაცხადა, მხოლოდ იმ პირობით-კი რომ ეს გემები შავ ზღვაში აღარ დაბრუნდნენო.

„დეილი მეილ“-ი სწერს, ინგლისის მთავრობამ შეატყობინა რუსეთის მთავრობას, არას დროს არ დავთანხმდებით, რომ რუსის ფლოტმა დარდანელში გაიაროსო.

დასასრულ, „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ამბობს, პეტერბურგიდან სარწმუნო ცნობა მივიღეთ, რომ რუსეთმა მესამე ესკადრის გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთს გადასდოო. ნეტავ რომელი ცნობაა ამათში მართალი? („ნ.“).

სხვა კორესპონდენტები ირწმუნებიან, რუსეთმა არგენტინისა და ჩილის სამხედრო გემები იყიდა და ფულიც გადაიხადაო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი-კი იუწყება, რუსეთი ეხლა ჰყიდულობს ამ რესპუბლიკის გემებს; შუამავლობას ფრანგი ბარონი კაულუსუტი ეწევა და სადალალოს 2 მილიონ მანეთს თხოულობსო. („რ“).

პორტ-არტური. უცხოეთის გაზეთები სწერენ: პორტ-არტური და იქაური რუსის ესკადრა უფრო და უფრო დიდ გაჭირვებაში ვარდებიანო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, სუნშუშანთანა და აღმოსავლეთ ფორტებთან იაპონელები ბეჯითად განაგრძობენ საინჟინრო საქმეებს და სწრაფად მიდიან წინა. იაპონელებს იმედი აქვთ, მომავალი შტურმი სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდებაო. („ნ.“).

იაპონიის არტილერიის უფროსი იუწყებოდა 24 ნოემბერს: „წარსულ პარასკევს აქეთ რუსის ესკადრას პენიუშანის სამხრეთით ზარბაზანს ვუშენთ და უფრო და უფრო მარჯვედაც ვესვრით. აქამდე რუსის გემებს სულ მცირედ 134 ყუმბარა მოვახვედრეთ. გუშინ საღამოს 203 მეტრიან გორიდან დავათვალიერეთ და კარგად დავინახეთ, რომ „პოლტავა“ და „რეტვიზანი“ დაზიანებულან; „რეტვიზანი“ ძლიერ გადახრილა გვერდზე. ეს გემები ბრძოლისათვის აღარ გამოდგებიან. („ნ. დ.“).

იგივე არტილერიის უფროსი 25 ნოემბერს იუწყებოდა: გუშინ ნაშუადღევს 203 მეტრიან გორიდან დავინახეთ, რომ „რეტვიზანი“ ძლიერ ჩაეშვა წყალში, თითქმის ნავთსადგურის ფსკერამდე (ძირამდე) დაეშვა; „პობედა“ ძლიერ გადაიხარა მარჯვენა მხარესაო.

იაპონიის არმიის მთავარი სადგომი 25 ნოემბერს იუწყებოდა: გუშინ მარჯვედ ვუშენდით დიდ ზარბაზნებს პორტ-არტურის ნავთ-სადგურს. შევნიშნეთ, რომ „პერესვეტ“-სა, „პობედა“-ს და „პალადა“-ს ზევრი ყუმბარა მოჰხვდა. ნაშუადღევის 3½ საათზე „პერესვეტ“-ზე ცეცხლი გაჩნდა. „პობედა“-მ ბოლო დაუშო“. („ნ. დ.“).

პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: 26 ნოემბერს გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონიის ესკადრა პორტ არტურთან შეკრებილა. გენ. სტესელი ზღვაში არ გაუშვებს გემებს; მატროსებსა და ფლოტის იარაღს ციხის დასაცველად უფრო გამოიყენებს.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. განაგრძობს პორტ-არტურის შტურმის აღწერას: „იაპონელებმა, ალბად, ორის მოსაზრებით მიიტანეს შტურმი დასავლეთ ფორტებზე. ჯინდ ჩრდილოეთ ფორტების (სინშუშანი, ერლუნშანი და კიკვანშანი) გლასისები და კონტრ-ესკარპები (კონტრ-ესკარპი—თხრილის წინ კედელია, გლასის-თხრილთან დაყრილი მიწაა) აეღოთ, იაპონელებს მეტად გაუჭირდებოდათ უკანასკნელ დაბრკოლების დაძლევა—6–7 საჟენის სიღრმე და ამავ სიგანე თხრილებისა და მაღალ კედლების აღებაც დასჭირდებოდათ. დასავლეთ ფორტების აღება კი უფრო ადვილი საქმეა, რადგან ეს ფორტები უფრო სუსტია და შედარებით უკეთესი მისავალიც აქვთ დასავლეთიდან. ჩრდილოეთი ფორტები თითქმის ფრიალო კლდეებზეა გამართული და პალიჩუანის ველს მაღლიდან დაჰყურებენ. სტოლის გორები კი თან და თან დაბლდებიან ლუიზასა და მტრედის ბუხტისაკენ; ამიტომ დასავლეთ მხარეს რთული საინჟინრო მუშაობა საჭირო აღარ იყო. მეორეს მხრით გენერალ ნოგის პირველი და უმთავრესი მიზანი პორტ-არტურის ესკადრის განადგურება იყო. ამ საქმისათვის სტოლის გორები უფრო გამოსადეგია, ვიდრე ვეშაპის ქედის გორები, სადაც ჩრდილოეთი ფორტებია გამართული. ნავთ-სადგურიდან ორივე ქედი ერთ სიშორეზე მდებარეობს (4—5 ვერსის მანძილზე), მაგრამ სტოლის გორებს უფრო ვაკე ფერდობები აქვს ზევით მხრიდან, ამიტომ აქ უფრო ადვილად და სწრაფად შეიძლება დიდის ზარბაზნების დადგმა, ვიდრე ერლუნგშანსა ანუ კიკვანშანზე. ამას გარდა, 203 მეტრიან გორიდან—სტოლის გორებში ეს ყველაზე მაღალი გორაა—პორტ-არტურის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნავთ-სადგურის მომეტებული ნაწილი კარგად სჩანს, ერლუნგშანისა და სუნშუშანიდან-კი ზარბაზნის სროლას მაღალი მწყრის გორა დაუშლის, რადგან ეს გორა ერლუნგშანისა და შიდა რეიდს შუა მდებარეობს. ამიტომ იაპონელების უკანასკნელი გამარჯვება იმდენად უნდა დაფასდეს რამდენადაც სტოლის გორის პოზიციებიდან მარჯვედ დაუშენენ ზარბაზანს და დააზიანებენ, რუსის გემებს პორტ-არტურში. რასაკვირველია, თვითონ ციხის დაცვისათვისაც უმნიშვნელო არ იქნება მთელ 5—6 ვერსის მანძილზე გამართულ პირველ რიგ სიმაგრის (რკინის გზიდან ტაიანკოუს ფორტამდე, თითქმის ზღვამდე) დაკარგვა. როგორც იაპონურ მოხსენებიდან სჩანს, გენ. ნოგის 13 ნოემბრიდან 18-მდე „ვისოკაია გორა“ (რკინის გზის გვერდზე), 203 მეტრიანი გორა და იმის სამხრეთით წითელი გორა (ოკაზამა) აუღია; ცხადია, ამ სიმაგრეებ შუა მდებარე გძელ გორის („დლინნაია გორა“) ფორტებიც იაპონელებს ჩაუვარდებოდა ხელში; ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსის მეციხოვნე ჯარს მეორე რიგ ფორტებისაკენ—ანძუშანისა და იტძიშანისაკენ დაუხევია. როგორც რუსულ პრესაში აღნიშნული იყო კიდევაც, პორტ-არტურის ხმელეთის სიმაგრეების დაცვისათვის 203 მეტრიან გორისა და იმის მეზობლად გორების აღებას მხოლოდ იმ მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ სტოლის გორის პოზიციებიდან იაპონელები გვერდიდან, ფრთიდანაც დაუშენენ ზარბაზანს პორტ-არტურის აღმოსავლეთ ფორტებს. მართლაც, 203 მეტრიანი გორა, სულ 4½—5 ვერსის მანძილზე მდებარეობს ხუნშუშანიდანა და დასავლეთ ერლუნგშანიდან, მაგრამ ერლუნგშანისაკენ ზარბაზნის სროლას „ვისოკაია გორა“ დაუშლის, რადგან ეს გორა სწორედ ერლუნგშანისა და 203 მეტრიან გორის შუა მდებარეობს. სუნშუშანს-კი, როგორც „ტაიმს“-ის კარტიდან სჩანს, მართლაც ფრთიდან დაუშენენ ზარბაზანს 203 მეტრიან გორიდან. ერლუნგშანს-კი გძელ გორის პოზიციებიდან დაუშენენ ფრთიდან ყუმბარას; გძელი გორა ერლუნგშანიდან 3½ ვერსზე მდებარეობს დასავლეთისაკენ. გვერდიდან ნასროლი ყუმბარა გაცილებით მეტად დააზიანებს ფორტსა, ვიდრე ფრონტიდან (წინიდან, შუბლიდან) ნასროლი, რადგან ფორტის სანგრებს მხოლოდ წინა მხრიდან აქვთ საფრები, ფრთიდან კი არა. ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ იაპონელები სტოლის გორებზე მძიმე ზარბაზნებს დასდგამენ და არა თუ მარტო ნავთ-სადგურს, ციხის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებსაც დაუშენენ. სტოლის გორიდან გასროლილი ყუმბარა აღმოსავლეთ ფორტებს (კიკვანშანსა და კიკანშანს) ზურგიდან-კი უფრო ნაკლებს დააკლებს, რადგან ეს ფორტები გძელ და 203 მეტრიან გორიდან უფრო შორს, სულ მცირედ 7—8 ვერსის მანძილზე მდებარეობენ. თავის მხრივ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარიც ხელახლად ბეჯითად ეცდება სტოლის გორის პოზიციების დაბრუნებას, ან იაპონელებს ბევრ ზარბაზნის დადგმას მაინც დაუშლის ამ პოზიციებზე. გენ. სტესელმა თითქმის ათჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ ვერას გახდა. აქედან სჩანს, რომ ძალ და ძალ სტოლის გორის პოზიციების დაბრუნება შეუძლებელია: იაპონელებს პორტ-არტურთან მეტი ჯარი ჰყავთ და მეტი ძალა აქვთ. მაგრამ გენ. სტესელს შეუძლიან სტოლის გორებს მეზობელ გორებიდან დაუშინოს ზარბაზანი, სახელდობრ უდანშიანიდანა და ტაიხკოუდან (სამხრეთიდან) და ანძუშანიდანა და იტძიშანიდან (აღმოსავლეთიდან). ამ არტილერიის ბრძოლის შედეგზე იქნება დამოკიდებული გენ. ნოგის მომავალი მოქმედებაც“.

აქამდე სამხედრო მიმომხილველები ირწმუნებოდნენ, „203 მეტრიანი გორა“ და „ვისოკაია გორა“ ერთი და იგივე ადგილიაო, ბ. ს. კ. ამბობს, ეს სხვა და სხვა ადგილებიაო; ეგაა ბ. ს. კ. ჰფიქრობს, რომ ორივე ეს გორა ამ ჟამად იაპონელების ხელშიაო. ამას გარდა, ბ. ს. კ. სწერს: „ვისოკაია“, 203 მეტრიანი, წითელი და გძელი („დლინნაია“) გორები სტოლის ქედის ნაწილს შეადგენენო, სხვა მიმომხილველები-კი ამბობენ, სტოლის გორები ჩამოთვლილ პოზიციების წინ მდებარეობენო. რომელი ცნობა უფრო მართალია, ძნელი სათქმელია, რადგან პორტ არტურის სწორე კარტა არაა გამოცემული და ერთსა და იმავ ადგილს რამდენიმე სახელი ჰქვიან: ჩინური, რუსული და იაპონური. „რუსკია ვედომოსტი“-ს მიმომხილველის წერილიდან ცხადადა სჩანს, რომ იაპონელებს პორტ-არტურის დასავლეთ მხარეს წინა რიგი სიმაგრე სულ მთლად აუღიათ.

გენ. კუროკის არმიის მოქმედება. „რუსკია ვედომოსტი“-ს მიმომხილველი ბ. ს. კ. გენ. კუროკის არმიის მოქმედებას იხილავს. ბ. ს. კ. სწერს: „14 ნოემბერს გენ. კუროკიმ იანსინტუნს ახლო ერთი გორა აიღო (იაპონელები ვანშიტანს ეძახიან) და მას აქეთ წინ გაემართა. ასე რომ ამ გორის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტის ბ. ნ. ობ.-ის წერილიდან გავიგეთ, რომ იანსინტუნთან 14 ოქტომბერს ნამდვილი ბრძოლა ყოფილა. რუსის პოზიციებს გენ. ზასულიჩის პოლკები იცავდნენ. იაპონელებმა იერიში მიიტანეს გენ. ზასულიჩზე და ორ პოლკს დიდი ზარალიც მისცეს: 100 კაცი მოუკლეს და 382 დაუჭრეს. გენ. ზასულიჩი იძულებული იყო უკან დაეხია და დიდ გაჭირვებაშიაც ჩავარდა; ეგაა ხელად გენ. ზარუბაევი მიეშველა და გენ. ზასულიჩმა ხელახლად მიიტანა იერიში, მაგრამ იაპონელებმა უკუ აგდეს, სამამოთი თითონ მიიტანეს იერიში, გენ. ზასულიჩს პოზიციები წაართვეს და მთელი გორა ხელში ჩაიგდეს (ორი ტყვიის მტყორცნელიც დავლად აიღეს). რა ზარალი მოუვიდა ამ დროს რუსის ჯარს, სწორედ არ ვიცით. როგორც ვიცით, გენ. კუროკიმ მალე სოფ. ბანიუპუზაც დაიჭირა; ოქტომბრის გასულს გენ. კუროკის მარჯვენა ფრთამ ფუშუნის გზაზე საკმაოდ წინ წაიწია და სოფ. ტუნგოუსთან (ფუშუნიდან 40 ვერსზე) 4 ვერსის მანძილზე უღელტეხილი დაიჭირა. რუსის ჯარმა, ეტყობა, უბრძოლველად დაიხია უკან და შიხუეჩენთან (ფუშუნიდან 20 ვერსზე, სამხრეთით) დადგა; სოფ. ტუნგოუსთან მხოლოდ უკანა ჯარი დასტოვა. იაპონელები ღამ ღამე მოხალისეთა რაზმებით ეცემოდნენ ხოლმე. ასე რომ კუროკის მარჯვენა ფრთა სოფ. ტუნგოუმდე მივიდა და რუსის უმთავრეს ჯარს, მდ. შახეზე დაბანაკებულს, გვერდიდან მოექცა. ალბად, რუსებს ცოტა ჯარი ჰყავდათ ფუშუნის გზისაკენ, რომ გენ. კუროკი ასე წინ გაუშვეს. 2 ნოემბერს გენ. ლინევიჩი ჩავიდა პირველ არმიაში (გენ. კუროკის წინააღმდეგ გენ. ლინევიჩის არმია მოქმედებს) და, როგორც ეტყობა, შიხუეჩენისაკენ მაშველი ჯარი გაგზავნა. 7 ნოემბერს რუსის მოხალისეთა რაზმები წინ გაემართნენ სოფ. ტუნგოუს ახლო მდებარე უღელტეხილისაკენ, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აგდეს. მარშალ ოიამას მოხსენებიდან სჩანს, რომ რუსები 12 ნოემბერს ღამესაც დასცემიან იაპონელებს, მაგრამ კიდევ ვერას გამხდარან. 17 ნოემბერს იაპონელების დასაზვერად შტაბს-კაპიტანი ალექსანდროვი წავიდა თავის რაზმით. რაზმი შეუნიშნავად მივიდა მინხაილინის უღელტეხილთან და იაპონელ დარაჯებს დაეცა. იაპონელებმა უკან დაიხიეს; რუსები გაჰყვნენ და დაბლობის სიმაგრეებს წააწყდნენ; ზოგი ეკლიან მავთულში გაება, ზოგი ნაღმს წააწყდა; იაპონელებმა ნაღმი ააფეთქეს და რუსები ჰაერში ააფრინეს. ბოლოს იაპონელები გამოცვივდნენ სანგრებიდან და რუსებს თოფი და ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინეს; რუსებმა უკან დაიხიეს. შეტაკების დროს მამაც რუსის რაზმს ორი მესამედი დააკლდა (24 კაცი). ამ პატარა შეტაკებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: რუსებმა გაიგეს, რომ გენ. კუროკის ფუშუნის გზაზე წინა პოზიციებიც ძლიერად ჰქონია გამაგრებული. მინხაილინის უღელტეხილზე იაპონელებს, ეტყობა, სულ ორი როტა ჯარი ჰყოლიათ, მაგრამ მაინც ეს პოზიცია ძლიერ გაუმაგრებიათ: სანგრებს გარდა, ეკლიანი მავთული გაუბამთ და მიწაშიაც ნაღმი ჩაუწყვიათ“.

პრესსა ჩვენში

ორი-სამი თვეა რუსეთში პრესსამ ფრთა გაშალა და ცოტად თუ ბევრად დაიწყო საჭირ-ბოროტო საკითხებზე ლაპარაკი. მთელი წლობით პრესსა დადუმებული იყო და არ შეეძლო სულ უმნიშვნელო საგნებზედაც-კი ხმის ამოღება. შიში დაკეტვისა, ამასთან განუკითხავად, სასამართლოში გაურჩევლად, ყველას ხმას აწყვეტინებდა. მკითხველს, რა თქმა უნდა, უეჭველადაც კარგად მოეხსენება, რას წარმოადგენდა პრესსა ამ უკანასკნელ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში: არც ერთ ცოცხალ აზრს, არც ერთს იმ საკითხს, რაც აღელვებდა საზოგადოებას, მთელ სახელმწიფოს, პრესსაში ადგილი არა ჰქონდა. ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა, იგი წინ მიისწრაფოდა, ჩნდებოდა ახალი მიმართულებანი, ახალი საჭიროებანი, პრესსა-კი ერთსა და იმავე წერტილზე იდგა და უფრო ავსტრალია-ამერიკის საქმეებს ეხებოდა, ვიდრე შინაურ, ყველასათვის დიდად საგულისხმო, დღიურ პურ-ფარიმს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რა წამსაც ცოტაოდნად შესუსტდა მარწუხი, პირველი ხმა, რომელიც რუსის პრესსაში გაისმა, თავისუფლება იყო, თავისუფლება წერისა, სიტყვისა..

თუ ასე იყო რუსეთში, ადვილი წარმოსადგენია რა უნდა ყოფილიყო ჩვენში, ამ განაპირა ადგილას, სადაც ბევრში სხვა კანონები და წესებია. კავკასიის პრესსა სულ ტყუილად ატარებდა ამ სახელს, რადგან არავითარ თავისუფალ აზრის გამოთქმა არ შეეძლო. კრიტიკა რისამე ხომ პირდაპირ მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა და ჯერ-ჯერობით ეხლაც ითვლება. არსებობს საზოგადო კანონები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, მაგრამ ამ კანონებს არ ასრულებდნენ და ყოველ კუთხისთვის, მათში კავკასიისთვის, უთვალავი დროებითი „წესები და განკარგულებანი“ შემოიღეს. ეს „დროებითი წესები და განკარგულებანი“ უკანასკნელ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში მხოლოდ სახელს ატარებდნენ დროებითს, ნამდვილად-კი ერთხელვე შემოღებულნი სამუდამოდ რჩებოდნენ. არ დარჩენილა არც ერთი მხარე ცხოვრებისა, არც ერთი საკითხი, დაწესებულება და საქმე, რომელთა გამოც პრესსის სახელმძღვანელოდ დროებითი წესები არ გამოეცემულიყოს. ამ წესების მეოხებით პრესსას ჩამოერთვა ის უფლებანი, რომელიც ძირითად კანონებით ჰქონდა მინიჭებული. ამისავე მეოხებით პრესსა ვერ ეხებოდა შინაურ ცხოვრების ვერც ერთ მხარეს. სააგრარო საკითხი, მუშათა საკითხი, სკოლები,—ყველა ეს და მრავალი სხვა თანამედროვე და საჭირბოროტო საკითხი თავისთავად გამოკლებული იყო ჩვენებურ გაზეთების პროგრამიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ სატახტო ქალაქებში დაბეჭდილის გადმობეჭდვაც-კი არ შეეძლო კავკასიის ჟურნალ-გაზეთობას, ამ მხრივაც იგი ხელ-ფეხ შეკრული იყო.

დღეს, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, სდგება კომისია პრესსის შესახებ კანონების გადასასინჯავად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეხლა მაინც, ამ ახალ სიოზე, ამდენის ხნით დატანჯული პრესსა ეღირსება თავისუფლად მოქმედებას და აზრის გაცვლა-გამოცვლას.

ახალი ამბავი

◆ საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში 21 ამა დეკემბერს გაიმართება ჩვეულებრივი **კონცერტი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** სასარგებლოდ. ბილეთები უკვე იყიდება „საზოგადოების“ კანცელარიაში.

◆ სამხედრო სამსახურში გაწვეულთა **კენჭის ყრა, შემოწმება და ჩარიცხვა** ტფილისის გუბერნიასა და ქალაქ ტფილისში სრულიად გათავდა. მთელ გუბერნიიდან უნდა მიეღოთ სამსახურში სულ 3,416 ყმაწვილი კაცი. კენჭი უყარეს 9516 კაცს, ამ რიცხვში ქრისტიანი იყო 8,743, ებრაელი 104, დანარჩენნი იყვნენ თათრები, მალაკნები და სხვანი. სულ მიიღეს სამსახურში 3 372; ქრისტიანი—3286, ებრაელი—39, თათარი—3, მალაკანი—17 და სექტანტი—27. არ გამოცხადებულა მთელ გუბერნიაში კენჭის ამოსაღებად 741 კაცი.

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭოს** 2 დეკემბრის კრება მოანდომა 1905 წლის შემოსავლის აღრიცხვის განხილვას. საბჭომ ამ სხდომაზე მოასწრო მხოლოდ 5 მუხლის განხილვა და მცირეოდენის ცვლილებებით მისი დამტკიცება. დასამტკიცებელი გადასახადი მომავალს წელს მოსალოდნელია 328,400 მან., ამ გადასახადის ნედოიმკები უნდა მოიკრიბოს 206,900 მან. და სხვა სულ პირველი მუხლით შემოსავალი მოსალოდნელია 560,400 მან. ვაჭრობისა და მრეწველობისაგან მოსალოდნელია 126,000 მ., გადასახადი

ფელეტონი

გურულის წერილები

ძ. ჭაბიდა!

ამისანა ძმობაც აღარ გამიგონია სტორეთ. რაცხა ორი დღეა ქართული მოკწერე ჩემთაი და შენ ერთპაიში გამუამცხადე? აწი და იგი როის მოკწერე, რომ აგიდია ჩემი მოწერილი ამბავი და ზეგაგიწერია გაზეთში! საგაზეთოთ რომ მდომებოდა, რაღაი შენ მოკწერდი, ჩოხატაურის ფოშტის გზაი მეც კარქათ ვიცოდი და ბარემაც ზორდაპირ იმ მეგაზეთეს გუუგზავნიდი და იგი იქნებოდა. რეიზა ჩამაგდე, ძამა, სოფლის ყბაში, რეიზა მიქენი აგი საჯაეო საქმე. მიღმეში რომ გაზეთის ფარანი თვალით არ უნახავს, იმასაც კი გუუგია ჩემი ამბავი და იძახის თურმე: ხე დაგ, ბიჭო, ქვეყანას რავა არ დეიქცევა, ჩვენ შტერ მოსიკეთესაც წერა დუუწყია და თელი გურიის ამბავი გაზეთში გუუწერიავო. ზოგს ქე გახარებია აგი საქმე, მარა ზოგი პირიქით ძაანც გაჯავრებულა, რას ქვია, ღმერთო მომკალი, გურულებს ჭკუა არ აქ, ღონე არ აქო, როიცაა, მე რომ იმ კლასს ჭკუა ვთხოვე და სხვა და მერე ვინ ჩივა ამას, იცი?—ვინ და იგი, რომელიც ათას ხატზედ რომ დამაფიცო, მაინც გიტყვი, წრეულს ერთი დოთიანათ არ გამძღარა მჭადით. მოდი და ნუ გასკდები ახლა კუჭზე. აწი იმ უბედურს ჩემდა რომ ეთხოვა, რა შეგქვს მიგცემდი, როცა მეც სათხოვარათ გიყავი, მარა შიგვორს-კი ამ კაცების საქმე; დღესაც მაინც გამიგონია, „გურულმა თქვა სიყვარული რას მიქვია დათვარულით“ და აწი ამ ოჯახ აშენებულებს თუ სიყვარულიც კი არ უნდათ დაფარული, დაფარული შიმშილი რაღა ჯანაბამ შაავეარა. ან კი რეის რცხვენიათ, გურიას კი არა დღეს თელ დუნია-მელექეთს შია, მარა ჩვენი ბრალი ხომ არაა, ღმერთმა იცის სანთელს არ ვაკლებ, დღე და ღამე არ მძინავს, მარა მაინც აფელი გამივიდა, ღრომ მეიტანა უორიფელი და რა გინდა რომ ქნა.

ჭო და იმას მოგახსენებდი, ზოგიერთებმა იფხიკეს ჩემ გამოთქმულ წიგნზე მეთქინ, მარა რაღამაც შენ კი მოკწონებია და გაზეთში გააწერია, ზოგიერთებს რას ჩივი, მიადგენ და უჯახუნონ ქვას თავი. ტერის ჯინზე აწი კიდომ უმეტრო დავწერ. თუ კი მეც ნასტავლებში ჩემე წერები ამისანა წიგნის გამოთქმით, ამას რაღა ჯობია წავხთი. ოდონ შენ მიქენი სიკეთე და მაქანაი ვინცხა ლედასტორიაა ამისან ჩამიხერხე საქმე, უთხარი, რაცხაიფერათ ბევრს ნუ გამეტიებს ჩემ გამოთქმულ წიგნში და ისე დაბეჭდოს, თვარა თავი თუ ქე გამტია, ბოლო რა სახმარი იქნება, ვინცხა მოსამართლის და გურულის მამასახლისის არ იყოს, ჩანგში რომ წერია.

აი, ახლაც მინდა მოგწერო კიდომ ერთი წიგნი, მარა სტორეთ აღარ ვიცი, საიდან დევიწყო, რაღგან ისე მინდა გწერო, რომ არც წვალი დეიწყოს და არც შამფური, თვარა, შენი ტერია, მე სიცხეს მომაყენებენ ამ წერიზა როცხა ქნება დევიწყეფ ისთევლე ჩემი სურებიდან. სურები ჩემი საშობლო ქვეყანაა და ჩემ ქვეყანაზე მე გწერო,—ვის რა ხელი აქ. მე მგონია შენც გექნება ცოტა რამე გაგონილი სურებზე და თუ არ გაქ, ძაან დანაშაული ხარ: იგი მაინც კი უნდა იცოდე, რომ ეს სურები ერთ დროს გათქმული იყო ქართობილის და ლობიეს მოსავლით. ეს დრო თუმცა წევიდა, მარა სურები ახლაც არის საყურადღებო, იმან მალე გამეიღვიძა და დღეს ერთი სოფელი თუ ჰრაწავს გურიაში თვალს, სურებიც ჰრაწავს, შენი ოკრიმა არ გეგონოს! რაგინდა, სული და გული, რომ არ აქ: ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სასოფლო ბანკი, ბიბლიოტ... მარა უკაცრავათ, ბიბლიოტეკის ხსენებაზედ შეიძლება რედაქტორი გამიწყრეს, რაღგან ბიბლიოტეკა გურიაში აკრძალულია, მარა არა უშავს, მართალია ბიბლიოტეკა კი არ გვაქ, მარტო ნებართვა გვაქ, ე. ი. გვქონდა და, მგონი, ეხლა იგიც აღარ არის. წოდიათ ისთევლე უკან უთუოთ არ არი საჭირო ჩვენისანა კაცებიზა ბიბლიოტეკა, თვარა რავა დაგვიშლიდენ გახსნას. თუმცა, მე რომ მკითხოს კაცმა, კაი საქმეა: იმ ნიგორაულს გამოთქმული წიგნები რომ წეგვეკითხე, კაკალ გულზე გადამნარა; რავა ბეჭედივით წერს იგი დალოცვილის შვილი სოფლის კაცის ცხოვრებას და გაჭირვებას, ასე მგონია, საცხედან ჩემი ამბავი გოუგია და იგი დუუწერია მეთქინ. ჭო და ფიქრი ნუ აქ ლედასტორს, ბიბლიოტეკის ხსენებაც არა, არამც თუ სურებში, არსაით გურიაში.

რაც შეეხება ორ-კლასიან სასწავლებელს, კაი დაგვემართოთ, კაი ის იყოს, ესე იგი გარედან ძაან ლამაზია და შით-კი არ ვიცი რა ხდება. ისე ჩივიან ვინცხა ღმინცის რაცხა ახალ მოდის მუნჯურათ სწავლება შოუღონია და ჩვენ კლასშიც ისთე ასწავლიენო. ნეტავი ვიცოდე, რაფერია იგი მუნჯურათ სწავლება. ენა აპა აღარ იქნება აწი საჭირო. ამასაც მივუმატები: ამდოხანს მუნჯი რომ ვინმეს დიებადებოდა, ქე ტიროდა და აწი გასახარელი იქნება აბა, ყველას მასწავლებლობას მისცემენ. მარა ზევითაც მოგახსენე, დროს მეაქ უორიფელი მეთქინ და აგიც მოუტანია.

დამჩა ისთევლე ჩვენი სასოფლო ბანკი. აქანაი კი არ გამოგადგება მუნჯური. მუნჯური კი არა, ცხრა პოტიკი ენაც რომ გამეიბა, მაინც ვერას გახთები ჩვენი ბანკის მართველთან, ბანკიდან ფულის სესხება რომ გინდოდეს. რა ქნას ან კი ვითამ მართველმა, სად აქ ფული, რომ გასესხოს. რაცხა ვირი კაპეიკი იყო ბანკში მაშინვე დაიტაცა გაჭირვებულმა ხალხმა და მას მერე ცვლიან და ცვლიან ვექსილებს. თუმცა კალოის ძალით ვექსილების ხშირად გამოცვლა აკრძალულია, რაცხა ორი კაპეიკია ყველას ხთეს ცოტ ცოტათ, მარა რომ არ გუუცვლი, რას იზამ, ფული არ მიეძევა და რა მოგცეს რაღა სხვაზედ ვილაპარაკო, შენს მოსიკეთესაც კაი ვორ ვექსილზე აქ ხელი მოკონტოლებული და ყოველ დღე უაწევება ურწყევაზე მოდის ყველის მიზეზის გარეშე ფული წამედგინეო, მარა რა ჯანაბა წავურდგინო, რო აფელი მიჭყავის ოჯახში. რომ რამე გამაჩნდეს მოგეცა სიცოცხლე, ვალს ყვავილობს ჰერჩიოს, მარა საღაა. ნეტავი პრაცენტებს ვიშოვიდე, თვარა მთავრს ვინ ჩივა. რაც უნდა იყოს, აგი ბანკი მაინც ძაან მოსახმარი ყოფილა სოფელში და ღმერთმა სიკეთე მიცეს, ვინც იგი ჩვენ დაგვიმწყვა. მივგორს, რომ ზოგიერთმა სოფლებმა ამდოხანს ვერ მოახერხეს ჩვენსავით გეეხსნენ ბანკი თავის სოფელში. შენს ოკრიბაშიც თუ არ გაქვან სასოფლო ბანკი, მე მირჩევია შენდა მტრულათ, ახლავე იმეცადინე და გახსენით. ხუმრობაა, კაცო, ორ შაურათ შენს ეზოში ულაპარიკოთ და უქთამოთ ფული იშოვო, მეტი რა გინდა, აბა ტეუქლაი ხომ არ მოგცემენ. მერე იცი, აგი ორი შაურიც შორს კი არსად მიდის, ისევ შენ გრჩება.

ჭო და აგი ბანკი რომ რაცხა პატარას არ გვიწყობდეს ხელს, ისთე რაფერ გინდა აბა იშოვო ფული სურებში და გინდა თელ გურიაში. მე შენ გითხრა ძველებურათ სიმინდი გვაქ გასაყიდი თუ სახვა. ღვინო კი ღვთის წინაშე ბრევლი მოდის გურიაში, მარა, მოგახსენებათ, გერაფელი პატიოსანი ჭკუასაა ჩვენი ადესაი. კაი უნდა აქადან მოგიდებული გამარტებამდი თუ გაძლო, მერე ისე გადიქცევა. რავაც გინახავს ხავიწი, დაფერათ თუ ამეიღეფ ჭურიდან, თვარა ხრიკი იმას არ ეკარება. და აბა ამისანა ღვინოს მანათათაც რომ მისცე საპანე, ვინ სულელი იქნება იყიდოს, ისიც მაშინ, როცა სვირის ზედაში თავზე სასხამათ მოდის ამ ბოლო დროს. მოგეცა სიცოცხლე ადესამ ფული იცოდა აგერ ორი-სამი წლის წინათ, როცა ზავთობა იყო მაშინ. მე რომ ერთი მარტოხელა ანწრო მამულის პატრონი კაცი ვარ, საცხა მეც კი გავუიღე შვიდ რვა თუმნის ოტკას და სხვა ხომ ათ-ათ თუმნობითაც აკეთებდენ წლიწადში. მარა წევიდა ის დრო და ჭკუაც თან წეიღო. არა, ზავთობა კი არ წოულია, ზავთობის ნება ახლაც ქაა, მარა ახლა ვინ იქნება, გადარეულის მეტი, ზავთი ეძიოს. დღე და ღამე რომ ქალიან კაციანათ წელში გაწყდეს, მარტო პატენის ქირას ვერ გეისტუმრებს, იმდონია ბაჟი. მეტი რაღა გინდა, უბრალო პატარა სასტაკე კარდალას კაკალი ოცი

ცხენებისა, ეტლებისა და ძაღლებისა მოსალოდნელია 41,500 მან. ძაღლების გადასახადი ნავარაუდევია 1000 მ. ამ ბოლო მუხლმა კამათი გამოიწვია. ბევრი ხმოსანი ამბობდა, ეს მუხლი სულ გამოვრიცხოთო. საბჭომ დასტოვა ეს მუხლი. ქალაქის მამულებიდან მოელიან 136,420 მან. აღრიცხვის მე-6 მუხლი ნახევრამდე განიხილა საბჭომ. კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც შეეხება სადეზინფექციო სადგურის შემოსავალს (2.093 მან.) ხმოსანთა უმრავლესობამ მოითხოვა ამ მუხლის გამორიცხვა. ზოგმა სთქვა, დეზინფექციისათვის გადასახადი გამოერთვას მდიდრებს, ხოლო ღარიბნი განვათავისუფლოთო. საბჭომ მიიღო ეს უკანასკნელი წინადადება. ხმოსნები ამის შემდეგ წავიდ-წამოვიდნენ და თავმჯდომარე იძულებული შეიქნა კრება შეეწყვიტა.

◆ **ცნობები ხოლერის შესახებ.** ერევნის გუბერნიაში 22 ნოემბრისთვის ავად იყო: ნახიჩევანის მაზრაში 48 კაცი. შარურო-დარალაგეზში 19, ერევნისაში 61, ეჩმიაძინისაში 5, ახალ ბაიაზეთისაში 2, ალექსანდროპოლისაში 2 და ქ. ერევანში 51. პირველ დეკემბრისთვის ხელ-ახლა ავად გახდა ნახიჩევანის მაზრაში 241, მოკვდა 177; შარურო-დარალაგეზისაში: ავად გახდა 21, მოკვდა 21; ერევნისაში: ავად გახდა 956, მოკვდა 839, მორჩა 130; ქალაქ ერევანში: ავად გახდა 154, მოკვდა 156, ეჩმიაძინის მაზრაში: ავად გახდა 108, მოკვდა 60; ახალ-ბაიაზეთისაში: ავად გახდა 11, მოკვდა 1, ალექსანდროპოლისაში: ავად გახდა 1; სურმალინისაში: ავად გახდა 12, მოკვდა 9. განჯის გუბერნიაში: 18-დან 25 ნოემბრამდე ავად გახდა ზანგეზურის მაზრაში 108, მოკვდა 76; ჯებრაილისაში: ავად გახდა 9, მოკვდა 2. ბაქოში 29 და 30 ნოემბერს ავად გახდა 9, მოკვდა 6 კაცი.

◆ ტფილისის ქალაქის **გამგეობის წევრს ენფიანჯიანცს**, როგორც „ტ. ლ.“ გადმოგვცემს, მომავალ იანვარში სამსახურის ვადა უთავდება.

◆ ტფილისის ქალაქის საამშენებლო განყოფილების ცნობებით, **ავჭალაში ფილტრების** დასამთავრებლად მუშაობა წინ მიდის, ასე რომ ფილტრების კეთებას დაამთავრებენ გაზაფხულამდე, ხოლო შემოდგომამდე გამოიყვანენ მეორე მილს. 1905 წლის შემოდგომიდან გამგეობა შეუდგება მილების გაყვანას ქალაქის ყველა ნაწილში, ასე რომ 1906 წლიდან ქალაქს საკმაო წყალი ექნება.

◆ სოფ. ჩაილურში (სიღნაღის მაზრა) მსხვილფეხა საქონელს **ციმბირის ჭირი გასჩენია.**

◆ ბორჩალოს მაზრიდან წელს **სამხედრო სამსახურში** გაიწვიეს 1043 ყმაწვილი. სულ მიიღეს 458. ერთის წლით განთავისუფლეს 104, საავადმყოფოში გაიგზავნა 43, სრულებით განთავისუფლეს 43, არ გამოცხადებულა 50.

◆ 29 ნოემბერს თიანეთის მაზრიდან ტფილისში ჩამოსულან იქაური მცხოვრებნი ბუჩაშვილი და კოკოზაშვილი და გასასყიდად ჩამოუტანიათ ნახშირი. როცა უკან გაბრუნებულან და ბრმა ღელეში ჩასულან, აქ, კოკოზაშვილის სიტყვით, მათ სამი შეიარაღებული კაცი დასცემია. ბუჩაიშვილი მოუკლავთ და წაურთმევიათ 20 მან., ხოლო კოკოზაშვილს გაუსწრია და გაქცეულა. ტფილისის მაზრის ადმინისტრაციას ეჭვი შეეპარა თვითონ კოკოზაშვილზე. ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს.

◆ რადგან ხმოსანმა ანდრეევმა ხმოსნის თანამდებობას თავი დაანება, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მის ნაცვლად მიიწვია კანდიდატი ო. ი. ამირხანოვი.

◆ საეპარქიო საბჭოს თელავის მაზრის **სამრევლო სკოლების განყოფილების თავმჯდომარედ**, ნაცვლად ბლ. მღ. ხელაშვილისა, დაინიშნა მღ. შავლიაშვილი.

◆ სადგ. ქვალონი. 25 ნოემბერს ფოთის რკინის გზის მეორე ნაწილის უფროსმა ჯამაგირი დაურიგა ქვალონის სადგურის მუშებს. მორჩა თუ არა ჯამაგირის დარიგებას და მატარებელი დაიძრა, ამ დროს რვა შეიარაღებული კაცი გამოუდგენა მატარებელს. მაგრამ ზედ შეხტომა ვეღარ მოასწრეს. დაბრუნდნენ უკან და საწყალ მუშებს დაუწყეს ჩხრეკა—ფულს ეძებდნენ. ამ დროს მიეტყუთ „სტრაჟნიკებს“, მოცვივდნენ და ავაზაკებიც მიიმალნენ ტყეში.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა დეკემბრის პირველამდის: 1. სოფ. ირგანჩაის მცხოვრებ 12 წლის ბალღმა ტოლ-ბიჭებში თამაშობის დროს უცაბედად გატენილი რევოლვერი დაცალა და მოჰკლა 8 წლის ქალი, სალატინა ყურბან—ყიზი; 2. ალავერდის კარხნების მაღაროში მუშაობის დროს ჩამოვარდა 40 ფუთიანი ქვა, დაეცა მუშა შეიბადრასან ოღლის და იქვე მოჰკლა; 3, სოფ. სარაჩლოში ადგილობრივ მცხოვრებმა ტანგრივერდ-ახმედ-ოღლიმ ჩხუბის დროს ძაღლის გულისათვის სასიკვდილოდ დასჭრა თავში თავისივე ერთსოფლელი ალლავერდ-ორუჯ-ოღლი, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა; 4. ალავერდის ქარხანაში მუშა მამედ-აბდულა-ოღლი ჩამოვარდა ათ საჟენის სიმაღლიდან და სასიკვდილოდ დაშავდა; 5. სოფ დიდ ორუზმანის მცხოვრებნი მანსურ ისმაილ-ოღლი, ყურბან ისმაილ-ოღლი და სხვ. თავს დაეცნენ ამავე სოფლის მცხოვრებს ყაზიმლო-ისკანდარ ნასიბ-ოღლის სახლს, გაიტაცეს მისი ქვრივი რძალი იათარ ახმედ-ყიზი, ფულად 220 მანეთი და ნივთად 80 მანეთი.

◆ სოფ. შინიხში (ბორჩალოს მაზრა). 5 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი შევარდნილა ადგილობრივ მცხოვრების იაგორ მამინოვის სახლში და მოუტაცნია ფულად 1500 მანეთი და 45 მანეთის ნივთები. მიღებულ ზომების წყალობით, სამი ბოროტ-მოქმედი შეიპყრეს და ზოგი ფულიც ზედ აღმოაჩნდათ. ერთი აღმოჩნდა სოფ. შინიხის მცხოვრები ფაშა ალისხოდოვი, ხოლო ორი დანარჩენი ყაზახის მაზრის მცხოვრებნი ბაგრატ ვაგრამოვი და არშაკ მინდინოვი. სამი სხვა ბოროტ-მოქმედი ვერ იპოვნეს.

◆ გუშინ პოლიცმეისტერმა გაუგზავნა ტფილისის ქალაქის გამგეობას ქალაქის კასაში შესანახად 3105 მან., რომელიც ტფილისის მცხოვრებს პანუზოვისას (აწ გარდაცვალებულს) დაუტოვებია ხელოსანთა საზოგადოების სამი ამქრისათვის იმ პირობით, რომ ამ ფულის პროცენტი ეძლიოს ახლად გათხოვილ ქალებს მზითვად.

◆ როგორც თავის დროზე აღნიშნული გვქონდა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შეუცვივდნენ გოლოვინის პროსპექტზედ მუზეუმის პატრონს არამს და 400 მან. და სხვა ნივთები წაართვეს. ამ ბოროტ-მოქმედებს ჩემდენნი პოლიციამ დაიჭირა ბაქოში. ისინი აღმოჩნდნენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ჯაში და ხუნდაძე. ამათვე ბრალდებათ სასახლის ქუჩაზედ ამირაღოვის მაღაზიის და 2000 მან. ნივთების გატანა. ქურდებს ტფილისში ჩამოიყვანენ.

◆ ახალ ციხეში სესიამ გაარჩია საქმე ლუდის ქარხნის „იუჟნაია ჩეხიას“ პატრონის კულესინსკისა, რომელსაც ბრალდებოდა თავის ქარხანაში ლუდის მხდელის რუბემას მოწამვლა. რადგან სასამართლოში არ დამტკიცდა ბრალდება, სასამართლომ კულესინსკი გაამართლა.

◆ 2 დეკემბერს 12 საათზედ ტფილისის სახაზინო პალატის 1 ნაწილის უფროსის კაბინეტიდან შუშის მცხოვრებს სერგო ამირხასოვს მოუპარავს 10 მ. ღირებული საწერლო ნივთები. ქურდი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ ახალ ციხეში 25 ნოემბერს განიხილა საქმე ქართველ კათოლიკის პეტრე ტომაშევიჩისა, რომელსაც პოლიციელის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. ტომაშევიჩი თავ. ხერხეულიძესთან ერთად დუქანში ქეიფობდა. მთვრალებს ხმაურობა აუტეხიათ. მისულა პოლიციელი და უთქვამს, წესიერებას ნუ არღვევთო. ტომაშევიჩს პოლიციელისათვის შეუტევია. ის წასულა, მაგრამ ახლა მეორე მისულა და ამასაც იგივე მოუთხოვნია. ამაზე შეჰყოლიან ლაპარაკს, ბოლოს ჩხუბიც ასტყდარა. ტომაშევიჩს ერთი პოლიციელი ხანჯლით დაუჭრია ზურგში. ექიმის შემოწმებით ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. სასამართლომ 5 თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯა ტომაშევიჩს.

◆ გარდა იმ 12 კაცისა, რომელიც ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში იმსხვერპლა თოვლის ნამქერმა, უპოვიათ კიდევ გაყინული გვამი გუმბრის მაზრის სოფ. ბოზ-ეჭების მცხოვრების მანუკ ილოიანცისა და 9 აქლემი.

ბათუმის ქალაქის საბჭო

29 ნოემბერი

დღევანდელ საბჭოს კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი თავ. ი. ანდრონიკაშვილი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა პეტერბურგიდან; ხმოსნებმაც საკმაოდ მოიყარეს თავი.

საბჭოს მოხსენდა პროექტი ბათუმის შემოსავალ-გასავლისა 1905 წლისათვის. ნაანგარიშევია შემოსავალი 1.064. 237 მან. 51 კ. ხარჯი-კი 1.063. 528 მან. 72 კაპ. შემოსავლის აღრიცხვაში ჩათვლილია 673, 850 მან., რომელიც ქალაქს მიეცა სანავთსადგურო სავაჭრო კომიტეტისაგან: ახალის წყლისაყვანის გასამართავად—150,000 მან; ჭაობიან ადგილების დაშრობის გასაგრძელებლად—216,000 მან, და 7,850 ახალ მისავალ ქუჩების დასაგებად. ეს თითქმის 700.000 მანეთი ქალაქმა იშოვა თავ. ანდრონიკაშვილის მეცადინეობით. ამისათვის იყო იგი გაგზავნილი პეტერბურგს და, როგორც ჰხედავთ, მისი მოგზაურობა უქმი და უსარგებლო არ ყოფილა. მხოლოდ ისეთ დაურიდებელს და შუბლ-გახეხილს ორგანოს, როგორიც არის „ჩერნ. ვესტნიკი“ შეუძლიან დღე მუდამ ილაქლაქოს, რომ ქალაქის მოურავის პეტერბურგში მგზავრობამ ქალაქს დიდი ზარალი მიაყენაო მაგრამ ოპერეტის გენერალის ჩუმ-ბუმის ლაქლაქს ბათუმში თითქმის აღარავინ უგდებს ყურს.

წაკითხულ იქმნა შემდეგი წერილი, რომელიც მოუწერია ბათუმის გუბერნატორისათვის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს დიმიტრის წერილი გუბერნატორმა გამოგზავნა გამგეობაში, რათა იგი მოხსენებოდა საბჭოს და ამ უკანასკნელს განესაჯა და მიეცა პასუხი. აი თვით წერილი: „თქვენო აღმატებულებავ, მოწყალეო ხელმწიფევ! მაღალ ყოვლად აღმატებულებამ საქართველოს ეგზარხოსმა, გაიცნო რა თავის საკუთარ დაკვირვებით და ჩემის მოხსენებებით ბათუმის 28 ათას მართლმადიდებელ მრევლის სარწმუნოებრივი საჭიროებანი, რომელიც თხოულობენ ეპისკოპოსის თუ არა მუდმივ აქ ყოფნას, ხშირ-ხშირად მოსვლას მაინც, მთხოვა წერილით აღმეძრა შუამდგომლობა თქვენის აღმატებულებისა და ქალაქის მოურავის წინაშე, რათა ბათუმში მიეცეს მუდმივი სადგომი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს. წრეულ გაზაფხულს, ბათუმში ყოფნის დროს, გთხოვეთ სიტყვიერად თქვენს აღმატებულებასაც და ქალაქის მოურავსაც ამის შესახებ და ახლაც ხელახლად მოგმართავთ უმდაბლესის სათხოვარით, ეგებ შესაძლებლად დაინახოთ მისცეთ წინადადება ბათუმის თვით-მმართველობას, რომ მან დამითმოს განსაკუთრებული სადგომი, სადაც შემეძლოს ცხოვრება ჩამოსვლის დროს. რაკი მექნება აღნიშნული სადგომი, ამით მომეცემა შეძლება უფრო ხშირად ვიყვე ხოლმე ისეთ დიდ ადგილს ჩემის ეპარქიისა, როგორიც არის ბათუმი და ამით შემეძლებოდა რაოდენადმე მოვაწყო-რიგო სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი ბათუმის მრავალ-რიცხოვან მართლმადიდებელთა.

გამგეობამ, მოახსენა რა ეს წერილი საბჭოს, თავის მხრივ დასძინა, რომ ექვსას მანეთის მეტის მიცემა ამ საგნისთვის ქალაქს არ შეუძლიანო. ხმოსან ნაკაშიძის წინადადებით, კენჭი ეყარა ამ საკითხს და 15 ხმით წინაამდეგ 5-სა უარ-ყოფილ იქმნა სადგომის დაქირავება ეპისკოპოსისათვის.

ბათუმს აქვს ახალი საავადმყოფო 120 საწოლით. აშენებული იყო იგი იმ დაპირებით, რომელიც ქალაქს მიღებული ჰქონდა ფინანსთა მინისტრისაგან, რომ საავადმყოფოს შესანახავად ქალაქს მიეცემოდა ფული სანავთ-სადგურო გადასახადისაგან. შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, ბათუმს მოაკლდა, სხვა ნავთ-სადგურიან ქალაქებივით, ეს სანავთ-სადგურო შემოსავალი. შუამდგომლობამ ის გასჭრა, რომ ქალაქს აძლევდნენ საავადმყოფოს შესანახავად 17500 მანეთს. საავადმყოფოსათვის კი საჭიროა 54 ათასი მანეთი. წრეულს სექტემბერში სანავთ-სადგურო კომიტეტმა ეს 17500 მანეთიც მოუსპო; მაგრამ ბედად პეტერბურგში მყოფმა ქალაქის მოურავმა თავ. ი. ანდრონიკაშვილმა სთხოვა მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს და, როგორც იქმნა, ქალაქს აღუთქვეს კიდევ 17500 მანეთი, მაგრამ მხოლოდ 1905 წლისათვის. შემდეგ კი აღარაფერი მიეცემა კომიტეტისაგან, რომელიც უთითებს ქალაქს სახელმწიფო ხაზინისაკენ—აქ ითხოვეთო. ქალაქიც ახლა აპირობს გამგეობას სთხოვოს 18581 მანეთი. უამშემწეობოთ ქალაქს არასგზით არ შეუძლიან საავადმყოფოს შენახვა. ქალაქი დღეს თავის კასიდან აზარჯებს 12000 მანეთს. შემოსავალი ავადმყოფებისაგან ძლიერ მცირეა, რადგან ბევრი უსახსრო და უსაშუალოა. დღიური შენახვა ავადმყოფისა ჯდება 1 მან. 16 კაპ. საბჭომ, რასაკვირველია, ერთხმად მიიღო გამგეობის წინადადება შესახებ შუამდგომლობისა სახელმწიფო ხაზინის წინაშე, რათა ქალაქს ეძლიოს 1906 წლიდან საავადმყოფოს შესანახი ხარჯი 18581 მანეთი.

ამ სხდომაზედვე გამგეობამ საბჭოს წარუდგინა სასანიტარო კომისიის მცირე კომისიის მიერ შედგენილი სავალდებულო დადგენილებანი მუშათა სადგომების მოწყობის შესახებ. საქმე ის არის, რომ ბათუმში არიან ისეთი პირები, რომელნიც ქირაობენ დიდ სახლებს და შემდეგ მუშებზე აქირავებენ თითო ოთახობით. ამ სადგომებში საშინელი უსუფთაობაა, სინესტე, თუმცა ფასს დიდს ახდევინებენ. აი ამის მოსაწესრიგებლად არის შედგენილი ეს სავალდებულო დადგენილება. თანახმად ამ დადგენილებათა: მუშათა სადგომების გამართვა შეიძლება მხოლოდ ქალაქის გამგეობის ნება-დართვით; სავარგისობა შენობისა შემოწმებულ უნდა იქმნას განსაკუთრებულ კომისიის მიერ, რომელიც შესდგება სასანიტარო ექიმებისა, ხუროთმოძღვრისა, უბნის მზრუნველისა და უბნის ბოქაულისაგან. არ შეიძლება მუშათა სადგომების გამართვა სარდაფებში როგორც საცხოვრებელი ადგილი, მუშის სადგომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებათ: თითო მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს თითო კუბიკური ზომა ჰაერისა; იყვეს სინათლიანი; ოთახი უნდა თბებოდეს არა ვადასატან-გადმოსატან ფეჩებით, არამედ მკვიდრად ნაკეთებით; ოთახის სიმაღლე უნდა იყოს არა ნაკლებ სამ-არშინ-ნახევრისა; შიგ უნდა იყვეს ჰაერის გასაწმენდი. ყოველ ოთახის კარზე მიკრული უნდა იყვეს წარწერა რუსულ და ადგილობრივ ენებზედ, რამდენს მუშას შეუძლიან ამ ოთახში ცხოვრება. ფიცრის იატაკი შეღებული უნდა იყოს ზეთის საღებავით. კედლები შელესილი, შეფეთქილი კირის რძით მთელ სიმაღლეზე; შპალერის გაკვრა არ შეიძლება. ოთახებში, სადაც დასაწოლად მიდიან მუშები, უნდა იყვეს ან რკინისა ან ხის საწოლები ან ტახტები—უსათუოდ ზეთიან საღებავით შეღებილი. ხის საწოლების ფიცრები გაწმენდილ-გაშალაშინებული უნდა იყოს. საწოლსა და საწოლს შუა ადგილი უნდა იყოს არა ნაკლებ ნახევარ არშინისა. შეიძლება გრძელ კედელზე გაყოლებული ტახტი, მხოლოდ თითო კაცის დასაწოლი გაყოფილი ოთხ-ვერშოკიან ფიცრით; სიგანე თითო დასაწოლისა თორმეტი გოჯი. ტახტის ფიცრები ახალები უნდა იყოს, გაშალაშინებული და შეღებილი ზეთიანის საღებავით. მუშათა სადგომის ეზოც მოკირწყლული უნდა იყვეს და დაქანებული ქუჩისაკენ, რომ წვიმის წყალი იქითკენ მიდიოდეს. თუ რომელიმე მუშა ავად გახდა, სადგომების გამქირავებელი ვალდებულია იმ წამსვე აცნობოს ეს სასანიტარო მეთვალყურეებს. მუშათა დიდ სადგომებთან ე. ი. სადაც ასი ან მეტი ცხოვრობს, უნდა იყვეს ოთახი, რომელშიც შესაძლებელი იქმნება გადარიდება არა ნაკლებ სამის ავადმყოფისა. როცა ეს დადგენილება ძალაში შევა, სავალდებულო იქნება ყველა იმ სადგომებისათვის, რომელიც აწ გაიმართება, ძველი სადგომები-კი გადაკეთებულ უნდა იქმნას ორის წლის განმავლობაში იმ დღიდან. დამრღვევნი ამ დადგენილებათა პასუხის გებაში მიცემულ იქმნებიან. საბჭომ მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცა ეს სავალდებულო დადგენილებანი.

პრესსა

როგორც აღნიშნული გვქონდა, ორმოცის წლის იუბილე რუსულ სასამართლოს რეფორმისა ყველგან დიდის ამბით იდღესასწაულეს. სხვათა შორის, კიევშიც გამართეს დიდი ბანკეტი, რომელზედაც ბევრი საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვეს.

თავად ე. ტრუბეცკოის უთქვამს მოკლე, მაგრამ მეტად აზრიანი და მოსწრებული სიტყვა. მოგვყავს ამ სიტყვიდან ერთი ნაწყვეტი.

რუსულ პრესსის მდგომარეობა ეხლა შეიძლება შევადაროთ ექიმის მდგომარეობას მძიმე ავადმყოფ ქალთან; ექიმმა კარგად იცის ავადმყოფობის სახელი, მაგრამ ვერ უთქვამს, რადგან ეშინია ავადმყოფის სახელის გატეხისა. ავადმყოფი იტანჯება მშობიარობის ტკივილებით და ერთად-ერთი გზა საშიშ მდგომარეობიდან გამოსვლისა არის დაჩქარება ახლად დასაბადებელ ბავშვის ქვეყნად გამოსვლისა... ერობის წარმომადგენლებმა სახელი დაარქვეს ამ ბავშვს. დავლიოთ სადღეგრძელო ამ ბავშვისა, იმის დედისა და ნათლიებისა!

დამსწრე საზოგადოებამ აღტაცებით მიეგება თავადის სიტყვას, ტაშის ცემა დიდხანს არ შეწყვეტილა.

⁂

როგორც სხვაგან, რუსეთშიაც არსებობენ სხვა-და-სხვა პარტიები, მაგრამ ამათ თვისებისა და რაოდენობის გაგება თითქმის შეუძლებელია, რადგან, პრესსის არსებულ მდგომარეობის მიზეზით, არ არის გზა და საშუალება საჭირო ცნობების და მოვლენების გამომჟღავნებისა.

მიუხედავათ ამისა, ბატონ პროტოპოპოვს მაინც უცდია ზოგ პარტიების ძალთა რაოდენობის გამოკვლევა, რომელიც დაუმყარებია სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების ნაშრომებზე.

კომიტეტებმა მიიღეს სულ 1,061 ლიბერალურ ხასიათის დადგენილება და 238 კონსერვატიულ ხასიათისა. თუ ამ რიცხვებიდან გამოვრიცხავთ იმ კომიტეტებს, რომელნიც ლიბერალისმისა და კონსერვატისმის საზღვარზე დგანან (არც იქით, არც აქეთ), ნამდვილი ლიბერალი კომიტეტი დაგვრჩება 184 და კონსერვატორი კომიტეტი—8.

გამოდის რომ კონსერვატიული მიმართულება რუსეთში არა თუ რაოდენობით არის სუსტი ლიბერალისმთან შედარებით, არამედ მეტად წვრილმანი და ზერელეცა, ამბობს პროტოპოპოვი. კონსერვატორების პარტია ან ეხლა იწყებს გაჩენას, ჩასახვას, ან კიდევ ვერ განთავისუფლებულა ბიუროკრატიულ ნაჭუჭისაგან, ან ბოლოს კვდება და სწყურია ბიუროკრატიული ყავარჯენი.

რაც არ უნდა იყოს, სანუგეშო ცოტაა ამ ცნობებში რუს-კონსერვატორებისათვის. თუ ტენდენციით შედგენილ კომიტეტების დიდი უმრავლესობა წინაამდეგია არსებულ გარემოებისა და ლიბერალისმის მიმდევარია, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაღას უნდა წარმოადგენდეს რუსეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კომიტეტებში არ მიიწვიეს და მისი ნამდვილი აზრი და შეხედულება არ გამოათქმევინეს!

⁂

საზოგადოების და ხალხის აზრის გასაგებათ, გარდა პრესსისა, არის კიდევ სხვა გზაც—შეკრებისა და შეკავშირების თავისუფლება. აქამდე რუსეთის იმპერიაში როგორც პირველისათვის, ისე მეორისათვის საჭიროა საგანგებო ნებართვა ადმინისტრაციისა: უნდა გაიმართოს დაუსრულებელი მიწერ-მოწერა, რომელიც ხშირად არაფრით არ თავდება—ე. ი. ნებართვაზე უარი მოსდით მთხოვნელებს. მაგრამ ვსთქვათ ნებართვა მოვიდა—აქაც შებორკილ-შებოჭილია მოქმედება, რადგან ყოველ ჟამს მოსალოდნელია, რომ ნებართვას უკანვე წაიღებენ. ერთის სიტყვით, აქამდე რუსეთის იმპერიის მცხოვრებთ შეძლება არა აქვთ შეერთებისა თავიანთ ინტერესებზე საბჭობლად და შესაფერ ღონისძიების მისაღებად.

მომწიფდა აუცილებლობა ჩვენის ცხოვრების ამ არა ნორმალურმდგომარეობის მოსპობისა,—სწერს „რუს“-ი. აუცილებლად უნდა მიეცეს შეძლება რუსეთის საზოგადოების ყოველ ნაწილს შეერთდნენ თავიანთ ინტერესების განსახილველად და განსახორციელებლად; ამისათვის კი აუცილებელია, რომ შეკრება-შეერთებისათვის საჭირო აღარ იყოს ნება-რთვის აღება: საკმარისი უნდა იქმნეს სურვილის განცხადება; თუ რასმე დააშავებს ამგვარად დაარსებული დაწესებულება, სასამართლოს წინ უნდა აგოს პასუხი. ეს არის, კავშირის თავისუფლებას რომ ეძახიან, ეს არის არსებითი უფლება ყოველ მოქალაქისა.

კანონიერება სულ სხვა-და-სხვა ნაირად ესმით რუსეთის სხვა-და სხვა ადგილსო, ამბობს „ნაშა ჟიზნ“-ი.

რუსეთის მოქალაქენი, რომელნიც ერთის სახელმწიფოს წევრები არიან, ფაქტიურად სულ სხვა-და-სხვა უფლებრივ პირობებში არიან არა მარტო გუბერნიის მიხედვით, სადაც დღეს სცხოვრობენ, არამედ იმ პირის მიხედვითაც, რომელსაც ესა თუ ის თანამდებობა აქვს მინდობილი, და ამ პირის ამა თუ იმ სულიერ განწყობილების მიხედვითაც.

და ასეთი ნამდვილი სახელმწიფო ანარხია ჩვენში „წესიერებად“ არის მიჩნეული.

ჩვენთვის, განაპირა ქვეყნის შვილებისათვის უფრო კარგი და ახლო ნაცნობია აღნიშნული მოვლენა. აქ იმას, რაც შიდა რუსეთში ხდება, ზედ ერთვის ტომებრივი სხვა-და-სხვაობა და, მაშასადამე, არსებულ

მანეთი უჭირს ბაჟი დღე და ღამეში და შენ რა შავი ქვა დაგრჩება მოსაკები. ახლა თუ მოვადგებით და ვუღურჭავთ ამ ჩვენს ადესაის ღვინოს, თუარა მეტაი აფელათ გვარგია, მხოლოთ ამ უთავ-ბოლო ულურჭვიდან რაც ხეირი გამოდის, შენც ქე იცი, ის—რაც შენს იმერეთში: თრობა თხრობა და მერე ერთმანეთის უმღვდელოდ ნათლა, ესე იგი თავ-პირის მტვრევა. მარა სხვას რაღა უთხრა, თვითონ სურებლებიც რომ ადათეულად ეკიდებიან მის ადესას და ხშირათ სვირის ღვინოსაც გადაკვრენ რჯულზე.

მერე არ მკითხავ, საიდან გაჩნდა სურებში სვირის ღვინო?—საიდან და სამიკიტნოებიდან. რავა, ეგებაი შენ გონია სურებს სამიკიტნოები აკლია თუ?—შენც არ მომიკვდე, იმდენი სამიკიტნო, მგონი, ტფილის ქალაქსაც არ იქნება. ფეხს ვერ გაიბიჯებ ისე, რომ სამიკიტნოში არ გრა თავი. თუ რეის პრაღია ამდენი სამიკიტნოის გაძღება სურებში, ამასაც აგერ მოგახსენებ შენც გეგებდი, ამას წინათ გვეუდა სურების დაბაში მდებარე დიდი ტყე; ეს ტყე ეუიდეს ვინცხა ინგლისელებმა და იმ იმედით, რომ ამ საქმეს მოჰყვებოდა დიდი ხალხის მოძრაობა და ქეიფი, სურებლებმაც იხქარეს და ერთი ერთმანეთზედ წააწყვეს სამიკიტნოები. მარა ჯერ-ჯერობით, როგორც ვხედავ, ისევ მიკიტნები და სურებლები უფრო არიან თავისი სვირის ღვინოების მუშტარი. ან კი მიკიტნებს რაღა ეუმეტენო მეც ძაან დავიჯერე სულ ცოდვილო, თვალები ამ ტყის გაყიდვის გაგონებაზე. გიფიქრე მუშაობა დაიწყება და ხემს ეზოში ფულს გიშოვნი მეთქი. ტყუილია თუ?—აგი ტყის გაყიდვის საქმე რომ კარგათ წასულიყო, მთელი გურიის საქმე წაღმა წავიდოდა მარა ნუ ხუმბრობ, გაყიდვას თურმე ჯერ ბევრი კლდებია. ტყე, რასაკვირელია, ეკუთნოდა აქაურ თავად-აზნაურებს და ჩვენებური გახურებული თავად-აზნაურების პატიოსან ხასიათის ამბავი ხომ იცი გეგებს თუ არა ტყე იყიდებაო, მოკერეს თავისი დახეული ჯიბეები, დაჭრიწეს თვალები და ვისაც ქონდა თუ არ ქონდა ტყეში ნაწილი, ყველამ დავა გაამართა თურმე. შეიქნა ერთი ხელ-წერილების და ოტროკლების წრა. ჩივილი, დავა დარაბა და ერთი ვაი უშველებელი. საწყალ ანგლიჩანებმა, რომ შეხედეს რა ხალხთანაც ქონდათ საქმე, გაიკრეს ჯიბეზე ხელი და აძლიეს და აძლიეს ფულები ხან ერთ და ხან მეორე მოდავეს (აბა სხვაფერ რას გაუთავდნენ იმგვარებთან) და ბოლოს, რავარც იყო, მოაგვარიანეს საქმე. დაიწყო მუშაობა, მიადგენ სუფსუს გაწმენდას და გაზიდ ჩვენ სუფსუს პირს იმისანა ლოდებების ბრიკინ ბრიკინი, რომ შენი პოეტ-არტური მოხაკინო არ იყო მასიან. შეიქნა ტყეში ხეების დაწინ დაწინიც. დაღოცა ღმერთმა იგი ანგლიჩანებიც; მუშის ქირა კაი კვარიანი გამოვიდა და გიფიქრე, აგის კამეჯედ სიღარიბიდან მეთქი, მარა რა? რა და მთელი კაცრში, ვინცხეს გამოისობით აგი საქმე დაშკოლდა გახურებულ მუშაობის დროს გავარდა ხმა: ტყის ერთი ნაწილი ვინცხა ერისთავს მიუკიათ, არესტი დაუდვიათ და მუშაობა აღარ იქნებაო. იმისანა შენ მტერს, მე თავზე მეხი დამეცა ამის გაგონებაზე, მარა რაღას გიზამდი. ახლა, ქე ვარ გულზ-ხელ-დაკრეფილი, ვუყურებ, რობ გაადგებს ცაი პირს, რომ ნატვრა მაინც არა კალმა მომასწროს მეთქი. ჩვენ ვკითხეთ გლეხებმა, თუარა აზნაურებს კიდევ რა უჭირთ, თითოეულმა ამ ჩვენ ეზოში სამ-სამი ასი თუმანი მაინც გამოიგორეს ხელში ტყის ფასი. ეჰ, ძმაო, ჯიბილა, რომ იტყვიან, საწყალი კაცოზა არც გათენებულა და არც გათენდებაო, იგია, თუარა ანგლიჩანებს რაღა ღმერთი გუწყრა მაინც, რომ ეს საქმე ხეირიანათ ვერ წაიყვანეს.

მარა ვითამ რავა დიკურებოდა სურებს ხეირი თუ მისანეი დვთის პირიდან გადაგდებული კაცები იყო შით, რომ დიდება მი სახელს, და მის კარებსაც კი შებედავენ მოსაპარავათ აბა, ამისანე საჯავი საქმე დაგვემართა. ბატონო, ხატი მეიპარეს სახტრიდან, ხატი და მერე რა ხატი, თელი გურია მი სახელს ახსენებდა და სურების ხომ ძირი სალოცავი იყო. გაუწყრეს იმ ხატის ძალი და მადლი ვინცხამ აგი სამინელი საქმე მეამოქმედა და რა ხეთი წყევლა უნდა, ლომის კარლი მაინც მალე გამუახენს სასტუდს.

მარა მგონი, ძაან გამიგძელდა აგი სურების ამბავი და შენ ეგება არც ქე მოგწონს სულ ამისკი გეტყვი, რომ რაც სურებზედ გითქვი, თითქმის თელ გურიასაც შეეხება და თელი გურიის ამბვის გაგება, მგონი, არ შეგეზარება. ახლა-კი მეც დავანებებ წერას თავს, ან-კი რა გამოდის ამ წერიდან? ბევრი არაფელი: გწერთ, გწერთ და ამას წინათ „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დახატული ლექსტორის და ვინცხა ბიჭის არ იყოს, ჯუჯი ისევ ცარიელი გვაქ. გარკვეთ გუშვეა მე და ხემა ღმერთმა, რავა იტყვი შენ?—მე, მართალი გითხრა, იმდონი გიცნე, რომ მკლდზე კანი არ შემჩნენია.

შენი მოხიკლაი

„კანონიერების“ სხვა და სხვაობას მეტი მასალა აქვს.

წერილი ბათუმიდან

ახალი რედაქტორის ოინები

ბათუმის გაზეთის რედაქტორმა ამ დღეებში დიდად ისახელა თავი. როგორც მოგეხსენებათ, ეს ვაჟ-ბატონი არავის სტოვებს, რომ თავის გაზეთში ტალახი არ ესროლოს. იმის თვალში ყველა, ვინც კი იმისი თანამოაზრე არ არის, სამაგლობის გამომსახველია. ჩვენებურები ხომ „პარტიონისტები“ არიან, მხედები „აკტორგნიკები“ და ამგვარები. წარმოიდგინეთ ამ გმირმა აი რა რიგად ისახელა თავი.

რაღაც მანქანებით მან მოიპოვა მონოპოლია ტელეგრამმების ბეჭდვისა ბათუმში. როცა ერთმა ფირმა იშოვა ნება ტელეგრამების ბეჭდვისა, ბ-ნი პალმი დღე მუდამ უშვერის სიტყვებით ლანძღავდა. სწერდა, რომ ეს „ურია“ განგებ, განძრახ დამახინჯებულ დეპეშებს ბეჭდავს და ხალხს ატყუებსო. ერთის სიტყვით, კონკურენტი ვერ იგუა. ბევრმა კიდეც დაიჯერა იმისი სიტყვა. „ურიამ“ შესწყვიტა დეპეშების ბეჭდვა. პალმი-კი დღეში სამ-ჯერ-ორჯელ ბეჭდავდა და ჰყიდდა თითო შაურად. ბევრი სამდურავი ისმოდა ამაზე გაზეთშიაც, დრტვინავდა ბათუმის საზოგადოება. პალმი-კი შაურიანებს ბოჭავდა.

ბოლოს ზოგიერთ მაღაზიების ფანჯრებში დაიწყეს დეპეშების გამოკვრა, რათა ამით შეძლება მიეცათ ხელ-მოკლე ხალხისთვის იმის ამბების წაკითხვისა უგადასახდელოდ პალმის სასარგებლოდ. ახლა პალმი და საჩივრით მიჰმართა პოლიციას, რომ ჩემს დეპეშებს აკრავენ მაღაზიებში და ამით ზარალს მაყენებენო. საჩივრისაგან არა გამოვიდა რა იმის მეტი, რომ ყველამ გაიგო, თუ რა „პატრიოტი თავის სამშობლოისა“ ბრძანებულა ეს ვაჟ-ბატონი. მთელი ქალაქი აღელდა ასეთ გამოაშკარავებულ გმირის წინააღმდეგ. ყველამ გაიგო თუ რა გრძნობებით ხელმძღვანელობს ოპერეტის ყოფილი გმირი. დღეს დეპეშები ისევ არის მაღაზიების ფანჯრებში ბ-ნ პალმს-კი ნიღაბი ჩამოეხადა. ვისაც კიდევ ეჭვი ჰქონდა ამ ვაჟბატონის შესახებ, სრულიად გაეფანტა ეს ეჭვი. ამას ამბობენ იმისი წინანდელი მიტივისმცემელნი. როგორც ამბობენ, ამ საქმეში იმ ინციდენტმაც იმოქმედა, რომელიც ამას წინად მოხდა ექიმთა კრებაზე და რაც უკვე ნაუწყები ჰქონდა „ცნობის ფურცელს“.

ერთის სიტყვით, პალმის დიდებულ პატრიოტობას ძლიერი შუქი მოეფინა და ყველაფერი გამოაშკარავა. ეხლა, როგორც ამბობენ, ჩვენი გმირი შუამდგომლობს თურმე, იმას მიეცეს „სადექო უწყებების“ გამოცემის ნება.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგიდან ტელეფონით აუწყებენ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს, რომ საქმე პლევეს მკვლელების—საზონოვისა და სიკორსკის შესახებ ხალხის დაუსწრებლად უნდა განიხილოს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ წოდებათა შემდეგ წარმომადგენლებით: პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი—გრაფი გუდოვიჩი, გდოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დრუჟინინი, პეტერბურგის ქალაქის მოურავი ლელიანოვი და ერთი მამასახლისი. ბრალდებულთა დამცველები არიან—ცნობილი ვექილი კარაბჩევსკი და კაზარინოვი. მოწვეულია 28 მოწმე და 4 ექსპერტი. „რუს“-ის სიტყვით, პეტერბურგში მოვიდა საზონოვის მამა, ტყის მწარმოებელი, სტაროობრიადეცი; იმას კიდევ მეორე ვაჟი ჰყავს, რომელსაც უფაში ხე-ტყის საწყობი აბარია.

◆ „ნაშა ჟიზნ“-ს სწერენ ადესიდან, რომ იქ დააპატიმრეს და შემდეგ გაანთავისუფლეს მწერალი იზგოევი, პოეტი ფედოროვი და ექიმი ბოგომოლეცი.

◆ ზოგიერთ ოლქების მზრუნველებმა შუამდგომლობა აღძრეს საერო განათლების სამინისტროში, რათა ნება მისცენ, მიიღონ ქალები საქალაქო სკოლების დაბალ კლასების მასწავლებლებად. ხმაა, რომ სამინისტრომ დააკმაყოფილა ზემოხსენებული შუამდგომლობა.

◆ ქ. ბელოსკოტში ხალხის დასწრებით, გაარჩიეს საქმე ჯაშუშის გრომჩენკის შესახებ. 5 კაცი იყო ბრალდებული, მოიწვიეს 86 მოწმე. ნაფიცმა მსაჯულებმა ყველა ბრალდებული გაამართლეს.

◆ ხარკოვიდან სწერენ „სინ ოტეჩესტვა“-ს, რომ 31 ოქტომბერს, ღამე, კბილის საექიმო კურსებზე ერთ მოსწავლე ქალს შეუვარდნენ ოთახში ვიღაც ორი უცნობი კაცი და ნივთები გაუჩხრიკეს. ერთ მათგანს პოლიციის მუნდირზე უბრალო პალტო ჰქონდა გადაცმული. არა-მკითხე სტუმრებმა ვერაფერი ვერ ნახეს და გზას გაუდგნენ.

◆ საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად 10 თხოვნაა ქალებისაგან გაგზავნილი, რომლებიც უნივერსიტეტების სხვა-და-სხვა ფაკულტეტებზე შესვლის ნებართვას თხოულობენ.

◆ საერო განათლების სამინისტროს 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 43 მილიონი მანეთი, შარშანდელზე 738 ათასი მანეთით მეტი. სახალხო სკოლების შესანახად შარშანდელზე 183 მანეთით ნაკლებია გადადებული.

◆ ამ მოკლე ხანში პეტერბურგში ნაფიც ვექილების კრება იქნება მიწვეული ვექილების მდგომარეობის შესახებ სხვა-და-სხვა საკითხების განსახილველად.

◆ გომელში ებრაელებზე თავ-დასხმის შესახებ საქმის განხილვას დაესწრებიან რუსის ცნობილი მწერლები—მაქსიმ გორკი, ლეონიდ ანდრეევი, ტანი და სხვები.

◆ სასამართლოს წესდებათა შემოღების შემდეგ 40 წლის თავის აღსანიშნავად კიევში კრება შედგა, რომელზედაც სხვათა შორის ერთმა ორატორმა სთქვა: ნაფიც მსაჯულების სასამართლოს უწყალოდ შეაკვეცეს ფრთები და მხოლოდ ქურდებისა და მკვლელების სასამართლოდ გადააქციესო. ბოლოს ორატორმა დაუმატა: შემოიკრებს თუ არა რუსეთის საზოგადოება იმდენ ძალღონეს, რომ სულით და გულით სანატრელი რეფორმები განახორციელოსო. წარმოიდგინეთ ამ 30 წლის განმავლობაში რუსეთის საზოგადოების რამდენი საუკეთესო წარმომადგენელი იმსხვერპლა ჩვენმა წეს-წყობილებამ, რამდენი ჩვენთვის ძვირფასი სიცოცხლე დაიღუპაო.

პროფ. ტრუბეცკოიმ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა ავადმყოფის მდგომარეობას შეადარა. ყველამ ვუწყით, რა სენი გვჭირს და რანაირად შეგვიძლია ამ სენის განკურნება, მხოლოდ იმის პირდაპირ გამოთქმას ვერავინ ჰბედავს, ყველა ერიდებაო. ყველანი კაკა-მალულობას ვთამაშობთ. პრესისათვის ამ ბოლო დროს მინიჭებული შეღავათიც დიდად არ უნდა დაფასდეს: პრესაშიაც არ შეიძლება გულ-წრფელად და გაბედულად გამოთქმა ჩვენი საზოგადო საჭირ-ბოროტო საკითხებისაო.

წერილები

კახეთი. კახეთის სოფლები ის აღარ არის, რაც წინად იყო. აი, გაიხედეთ სადაც გინდათ და სულ სხვას დაინახავთ. მკითხველს ეხსომება, როცა ქურდობა გაპატონდა, რამდენსამე სოფელმა როგორ გამოიდო თავი და მოსპო მათი საქციელი. პირველად თვით განსამართლება დაიწყეს გაღმა მხრის თელავის ქვემო სოფლებმა. თუ როგორ მოისპო ქურდობა და ავზაკობა ამ რაიონში, იქიდანა ჩანს, რომ ერთ სოფელში კაცს უბრალო ფარაჯა დაჰკარგოდა, სამი დღე შარაზე გდებულიყო, ვერავის გაებედნა აღება, ვიდრე პატრონი არ გამოჩნდა. წინად ტანიდან აძრობდნენ, ეხლა ნაპოვნის აღებასაც ველარ ჰბედავენო—ამბობდნენ სოფლებში. თვით-განსამართლება მთელ მაზრაში დაიწყეს ზემო მხარეს გაღმა თუ გამოღმა ყველგან. მხოლოდ გაღმა მხარეს მარტო არბევენ—საქონელს უხოცავენ. ზემო მხარეს ქურდებს კიდეც სცემენ და ამწუხარებენ დარბევის გარდა, მაგ. სოფ. გულგულასა, იყალთოსა, რუისპირსა და სხვაგან. იყალთოში ერთ პატარა ბიჭს ინდოური მოეპარა. გაეგო სოფელს, მისულა, 5—6 თუმნათ ღირებული მოზვერი გამოეყვანა და დაეკლა. სასჯელი ვეტის მეტია. ეს კიდევ არაფერი: სოფ. კურდღელაურმა ყველას გადააჭარბა (აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ ქურდობამ როგორ აიდგა ფეხი და ყველას ეწვია). 28 ნოემბერს შეიკრიბა სოფელი სასაფლაოზე, დააბეს რამდენიმე ქურდი და დაუწყეს ცემა. ამ დროს გზად გამოევლო განთქმულ ქურდს მოპარულ ცხენით ახატლელ თათარს, სახელად სულთანას. ამ რამდენიმე წლის წინად ეს ცხენი ამ სოფლიდან დაკარგულიყო, წინა დღეებში ცხენი ერთ არა საიმედო კაცის ხელში ენახათ, რასაკვირველია, ცხენი ეცნოთ, მაგრამ ეთქო, სულთანამ მომყიდაო და თუ გინდათ, იმას მოვიყვანო. მართლაც სულთანაც ამ ცხენით სოფელში მოსულიყო, სხვა საქმეცა ჰქონოდა, მაგრამ მოსაქმეს აღარ დასცლოდა. დაინახეს ბრაზმორეულებმა, დაიძახეს: აი ჩვენი დამღუპავი, დაჰკარითო და მიესივნენ საბრალოს. ჩამოაგდეს ცხენიდან კეტით და ქვით დაუწყეს ცემა და იქვე ჩააშეშეს, საბოლოოდ გამოასალმეს წუთი სოფელს—მოჰკლეს. ამ ადგილას საჩქაროდ დაიბადნენ საერობო დარაჯნი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მათ თავიანთი წადილი აესრულებინათ. სულთანას რამდენიმე სოფლის ბატონი იყო.—მოპარული მასთან მიჰყავდათ, იგი კიდევ შუამდგომლობდა და პატრონისაგან ფულს იღებდა. სხვათა შორის, ერთ მეკომურისთვის შვიდი თუმანი გამოერთო, ოთხი გოდორი ყურძენი მოერჩია და კარგი პატივი მიეღო. ცემის შემდეგ სოფლის ყრილობა გაემგზავრა ქურდების ოჯახობის დასარბევად. კვირა და მეორე დღე რბევას და საქონლის ხოცვას მოანდომეს. მარტო ცხვარი ას სულზე მეტი დაეკლათ. ოცამდე ღორი, მსხვილ ფეხა საქონელი და პური სხვა იყო.—ერთის სიტყვით, ვის ოჯახშიაც შესულიყვნენ, იქაურობა აეკლოთ. **მხილავი.**

—

ს. დიდი-გომარეთი (თრიალეთი). ეხლა თანდათან ირკვევა, რომ წელს მთელს თრიალეთის ნაწილს მოუსავლობის გამო შიმშილობა მოელის. პური უკვე შემოელია მცხოვრებთა უმეტესობას და ხორბლისა და ფქვილის ყიდვა დაიწყეს. რა გაძლებინებთ მეორე შემოდგომამდის? (აქ ყანების მომკა მარიამობისთვის პირველამდის არ იწყება). ზოგს ოჯახს ოცი, ორმოცი თუმნის პურის ყიდვა დასჭირდება. გულდამაღონებელ სურათს წარმოადგენს ამ თოვლსა და ყინულში კალოების ლეწვა, როდესაც გლეხები ამაოდ დაარბენინებს ირგვლივ ხარებს და ცხენებს და ძირს პურის მარცვლის ნაცვლად ბზეღა რჩება. ერთი კალოდან, რომელიც ჩვეულებრივ შუათანა მოსავლის დროს 15 კოდამდის პურს იძლეოდა, ეხლა კოდი, კოდ ნახევარი ძლივს გამოდის და ისიც როგორი? შავი, ალაო და ღვარძლიანი.

ამ დღეებში აქ შემდეგი უბედურება მოხდა. გომარეთის მახლობლად, მაღალს მთაზე, ტყეში წასულა შეშის მოსატანად ს. დემურ-ბულაღიდან ოთხი ბერძენი: მამა-შვილი და ორი ძმა. როცა დაამზადეს შეშა და ნალოებით მოუბეს ხარებსა და წამოვიდნენ შინისკენ, ატყდა ქარ-ბუქი. თოვლი თვალპირში მეყარათ და გზა დაეკარგათ. ამასთან საწყლებს უჭმიათ ღვარძლიანი პური, რომელმაც დაათროთ და მუხლი მოსჭრათ. მამამ, როგორც იქმნა, მიაწია ტყეში მდგარს ეკლესიის ნანგრევს და თან მიიყვანა თავისი შვილი და მეორეც თექვსმეტის წლის ყმაწვილი. ხოლო ერთი ძმა თოვლში დარჩა. დაუღალავი ხარი და კამეჩები კი შუა ღამისას მისულან შინა თავის პატრონებისას და რაკი უპატრონოდ მისული ხარები უნახავთ, მაშინვე რამდენიმე კაცი წასულან საძებნელად და ის ერთი მათაგანი გაფიჩხებული იპოვნეს. დანარჩენნი სამნი უგონოთ ჩამოიყვანეს სოფელში, სადაც მეორე-მესამე დღეს ძლივს მოასულიერეს და ჯერ კიდევ ლოგინად არიან. **არჩილ იოსებაძე**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 დეკემბერი

ორენბურგი. გიმნაზიის მოსწავლენი შეუდგნენ საჯარო ლექციების კითხვას. მოწინავეთა დამხმარებელ საზოგადოებამაც, ადგილობრივ მასწავლებლების შემწეობით, გამართა საჯარო ლექციები.

ტომსკი. საბჭომ აირჩია დეპუტაცია, რომელმაც პეტერბურგში შუამდგომლობა უნდა აღძრას იმის შესახებ, რომ ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგი ტიუმენზე, ომსკზე, ტომსკზე და მარიინსკზე გაიყვანონ, ტიუმენ—ომსკის მაგიერ.—ტომსკის სასამართლო გადასცეს საქმე ალტაელების შესახებ, რომელნიც ზაფხულში მომხდარ მოძრაობაში ერივნენ. სასამართლოში მისცეს აგრეთვე რუსებიც, რომელნიც ჰქადაგებდნენ და ჰკლავდნენ ხალხის მოძრაობის ჩაქრობის დროს. ამ საქმეს მაისში გაარჩევენ.

ლონდონი, („რეიტერი“). „სტანდარდ“-ი იუწყება, საფუძვლის მოკლებულია ხმა, ვითომ ინგლის-ჩინეთს შორის უთანხმოებაა ტიბეტის ხელშეკრულობის შესახებო. ჩინეთს არ გაუგზავნია ელჩი ტიბეტში.

ვაშინგტონი, („რეიტერი“). ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას შეერთებულ შტატებსა და იტალიას შორის სამედიატორო წესით საქმის განხილვის შესახებ.

მადრიდი. ახალ კაბინეტის შედგენა მიენდო სენატის პრეზიდენტს.

ბელგრადი. მთავრობამ წაუკითხა სკუპშჩინას ბრძანება სამი თვის ვადით დროებითი კრედიტის შესახებ.

სოფია. პარიზიდან იუწყებიან, ბოლგარიის სესხი, 80 მილიონი, ორჯერ იქნა დაფარული. უარდია უცხოელ აგენტების ცნობა, თითქო ბოლგარიის მთავრობა მთავრის კარის სარჩენად მეტ ფულს თხოულობდესო.

3 დეკემბერი.

მოსკოვი, 2 დეკემბერი. პიროგოვის საზოგადოების გამგეობა წარუდგენს ექიმთა მომავალს კრებას წინადადებებს ეხლანდელ საზოგადოებრივ ცხოვრების იმ პირობათა გაუქმების შესახებ, რომელნიც ხელს უშლიან ექიმებს დამოუკიდებლად იმოქმედონ ხალხის ჯანმრთელობისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 30 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	3,70
ბერლინისაზე 100 მარკაზე	—
პარიზისაზე 100 ფრანკზე	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅜
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	422
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	316
5% გირ. მიწ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
5% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს 51 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიმიროვის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 1[illegible]
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ხაზინის ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, [illegible] ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტ[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ვეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

მაღაზია ტფილისში
კ. დ. კოზახიძისა
(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—5.—18)



СѢДЕЛЬН,
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ხობრონის ახლოს. (წ.—176—88)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელით, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
თოვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ჰოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით დ. 5—12 ს. საღ. (98—52—77)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
გამოცემა ს. ფირცხალავასი
ტ. 1. ფასი 1 მან.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში.

Дозволено цензурою, 3 декабря 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა“.
Электроп. „Груз. Изд. Т—ва.